

კუპლიკაციები გურიის სულიერი და
მატიარალური კულტურის ისტორიიდან



ზაქარია ჯიჭინაძე

თავდგირიძიანთ გვარის დაღმასწავლებელი
და ალი ფაშა თავდგირიძე

პუბლიკაციები გურიის სულიერი და მატერიალური
კულტურის ისტორიიდან

7

გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების
შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრი

თბილისი. 2007

ზაქარია ჭიჭინაძის მეთად აღრე მოუხდა საზოგადო
ასპარეზოზე გამოსვლა. მისი გზა იყო თითქმის სრული-
ად უთელი გზა, ახალი გზა, მან დაარღვია ტრადიციები...
ეს იყო ეკლიანი გზა... დააკვირდით ზაქარია ჭიჭინაძის
პორტრეტს: იგი თანაბრად აა პოეტი და მოაზროვნე...
ნათელი გამომეტყველება მისი სახისა საზსეა დაფარუ-
ლი ძლიერებით... იგი ყოველწამს განიცდიდა ერთნაირ
მარტოობას, ქვეყანას ყოველთვის ბრძნობდა ისეთად,
რომელთანაც უმრიგება არ უმიძლება.

ზაქარია ჭიჭინაძის პორტრეტი საკმარისად ნათე-
ლია. იგი არის ფიგნის რაინდი... ისტორიკოსი, ბიბლი-
ოგრაფი, ბიოგრაფი — ძელქვა ჩვენი მროვნული კულ-
ტურისა.

გალაკტიონ ტაბიძე

ზაქარია ჰიჭინაძე

თავდგირიძიანთ
გვარის დალატი
და ალი ფაშა
თავდგირიძე

„ნახავ ჩვენს ბედშობას,
ჩვენს ერთობას დარღვეულს!“

ილია ჭავჭავაძე

თბილისი. 2007

გამოსაცემად მოამზადა და
გამოკვლევა დაურთო **ირაკლი კოპლატაძემ**

გარეკანზე გამოყენებული ფოტო —
„ალი ფაშა თავდგირიძე და მისი მხლებლები“,
მოგვანოდა ანკარის ბილკენტის უნივერსიტეტის
პროფესორმა **ოკტაი ოზელმა**, რისთვისაც მას
დიდ მადლობას ვუხდით.

რედაქტორი **ილია თავბერიძე**
დიზაინი **ლუკა გოცირიძისა**

ISSN 1512-4010

ISBN 978-99940-69-80-4 (მეშვიდე ნაკვეთი)

© გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების
შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრი. 2007

წინასიტყვა

„დააკვირდით ზაქარია ჭიჭინაძის სურათს, იგი თანაბრადაა პოეტი და მოაზროვნე... ქვეყანას ყოველთვის გრძნობდა ისეთად, რომელთანაც შერიგება არ შეიძლება“-წერდა გალაკტიონ ტაბიძე, 1922 წელს, დიდი ზაქარია ჭიჭინაძისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში, რომელიც დღემდე დაუფასებელი ამ დიდი ქართველი მოღვაწის შესახებ დაწერილი ნარკვევებიდან ერთ-ერთი საუკეთესო გახლავთ.

ამ დიდმა პიროვნებამ, „ჩია ტანის კაცმა“, მთელი ცხოვრება ქართული საქმის კეთებას მიუძღვნა, რომლის გადმოცემა ერთი წინასიტყვაობის კი არა, ერთი წიგნის ფარგლებშიც კი ძნელია. არ დარჩენილა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდი, მოვლენა, ისტორიული გმირი რომლის თაობაზე მას არ დაეწეროს. მაგრამ მხოლოდ წერილებისა და წიგნების ავტორი როდი იყო ზაქარია ჭიჭინაძე. იგი თავად წერდა, ასწორებდა, კითხულობდა, ბეჭდავდა და ავრცელებდა წიგნებს; დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; ეძიებდა, იწერდა, აგროვებდა ქართულ სიძველეებს, „ნაშთებს ჩვენი ძველი დიდებისა.“ თანამედროვეთა გადმოცემებით, მას ვერ ნახავდით მოცლილს, უსაქმოდ; ქაშუეთის ეკლესიასთან, წიგნის მაღაზიაში ესაუბრებოდა წიგნის კითხვას მოწყურებულ მკითხველს ან მასთან სასაუბროდ მისულ აკაკის, გიორგი წერეთელს, რაფიელ ერისთავს, დიმიტრი ბაქრაძეს, იაკობ გოგებაშვილს...

თუ ვინმეს სურს საქართველოს ისტორიის კვლევა, იგი გვერდს ვერ აუვლის ზაქარია ჭიჭინაძის მდიდარ, ჯერ კიდევ ბოლომდე უცნობ და შეუსწავლელ მემკვიდრეობას. როცა გურიის მხარის ისტორიული წარსულის კვლევას შევუდგებით, ჩვენი ყურადღება მიიქცია ზ.ჭიჭინაძის ნაშრომმა „თავდგირიძიანთ გვარის ღალატი და ალი-ფაშა თავდგირიძე“, რომელიც ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ მტკივნეულ პერიოდს - ქართველთა გამუსლიმებას ეხება. ეს ნარკვევი არ გახლავთ ამ თემაზე ზაქარია ჭიჭინაძის ერთადერთი პუბლიკაცია. მისი ღვაწლი ქართველ მაჰმადიანების მიმართ, ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილ თანამემამულეთათვის ბევრჯერ გვერდით დგომით გამოიხატა. ეს მარტო საუბარი არ იყო. 1890 წელს, აჭარაში მცირე დროით ჩასვლისას, მან 278 სოფელი მოინახულა. ფეხით შემოიარა საქართველო ტრაპეზუნდიდან საინგილოს ჩათვლით, მოინახულა ყველა კუთხე, საკუთარი ზურგით მიიტანა მის მიერ გამოცემული წიგნები, უსიყვარულოდ არ დაუტოვებია უსამართლოდ დაჩაგრული ძმები – ქართველი მაჰმადიანები, გრიგორიანები, კათოლიკეები...

მას არ ჰქონია კლასიკური განათლება. მთაწმინდის სამრევლო სკოლის მსმენელი, ქაშვეთის ეკლესიის სკოლის შეგირდი, ერეკლე ბატონიშვილის სკოლის მოსწავლე 13 წლიდან დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს და 1872 წლიდან უკვე კორესპონდენციებს აქვეყნებს „ღროებაში“. თბილისის ერთ-ერთი სასტუმროს თანამშრომელი, იგი ქუჩაში გაზეთის კითხვისას გაიცნო სერგეი მესხმა და მასთან რედაქციაში მიიწვია.

ზ.ჭიჭინაძეს 120-ზე მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. მისი მდიდარი არქივი, სამწუხაროდ განადგურებულია. გამოცემული წიგნები კი - კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ერთ-ერთი მათგანის გამოქვეყნება ჩვენი სერიის ფარგლებში გადავწყვიტეთ.

„თავდგირიძიანთ გვარის ღალატი და ალი-ფაშა თავდგირიძე“ ახალ-სენაკში, კათავართქილაძის სტამბაში, 1896 წელს დაიბეჭდა და შემდეგ აღარ გამოქვეყნებულა. ასთერთმეტი წლის შემდეგ წიგნის ახალ გამოცემაში

აუცილებლად ჩავთვალეთ ზოგიერთი ენობრივი ფორმის გასწორება, რაც ნაშრომის სტილს არ ცვლის. სხვა მხრივ არაფერი არ შეგვიცვლია.

წიგნს ერთვის ირაკლი კობლატაძის ვრცელი გამოკვლევა. ბატონი ირაკლი სამუსლიმანო საქართველოს ისტორიის საინტერესო მკვლევარია. დღეს უკვე კარგადაა ცნობილი (და არ მართო სამეცნიერო წრეებში) მისი ფასდაუდებელი შრომა (ირინე გივიაშვილთან თანაავტორობით) „ტაო-კლარჯეთი“. ამჯერად ბატონი ირაკლი თურქეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანია და იქაურ არქივებსა და სამეცნიერო წრეებში ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის დღემდე უცნობი მასალების გამოსამზეურებლად. წიგნისთვის დართული შესავალიც ამის დამადასტურებელია. ავტორი საინტერესო მასალებს გვაწვდის ალი ფაშა თავდგირიძის ცხოვრების შესახებ.

ვიმედოვნებთ, რომ ზაქარია ჭიჭინაძის ამ წიგნის ხელახალი გამოცემა დაინტერესებს მკითხველს, ნათელ წარმოდგენას შეუქმნის ამ საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტებს და კიდევ ერთხელ უკვდავყოფს სახელს კაცისა, რომელიც როგორც „ძელქვა ჩვენი ეროვნული სულისა“, ისე იდგა ჩვენი სამშობლოს სამსახურში.

ილია თავბერიძე

„ნიგნის რაინდის“ საუნჯიდან

ზაქარია ჭიჭინაძის „თავდგირიძიანთ გვარის ლალატი და ალი-ფაშა თავდგირიძე“ იმ უიშვიათეს ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც რელიგიურ ნიადაგზე ქართველი ერის ორად გახლეჩას, მასობრივ გამუსლიმებას და ჩვენს ისტორიაში არნახულ მასიურ მიგრაციას, ე.წ. „მუჰაჯირობას“ ეხება.

სწორედ ამ მოვლენის შესახებ წერდა ილია ჭავჭავაძე: „ნუთუ ხალხი ჰტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, მამულს, დედულს, სახლ-კარს, ადგილს, სადაც დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა და მიდის სად? ოსმალეთში... ეს დაუჯერებელი ტვინის შემარყვევი ამბავი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან: ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულებამდე, ამ სასონარკვეთილებამდე?... რამ და იმანაო, ამბობენ ყველგან, რომ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმადლარი წვრილი ჩინოვნიკობა... საცა სამსახურიდამ გამოგდებული კაცი იყო, საცა გამოუსადეგარი, უხეირო, თავზეხელაღებული იყო, ამ ახალ ქვეყანაში მოხელეობა მიიღო... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგ ისტორიკოსი განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულისტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატინეში“.¹

ეს პროცესი 1828-29, 1853-55 და 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომების შედეგი იყო, რომლის მასშტაბებითაც განსაკუთრებით ორი უკანასკნელი გამოირჩეოდა. ამიტომ, ზ. ჭიჭინაძის ნაშრომის ისტორიული ღირებულების უკეთ გააზრებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნით თავად ავტორისა თუ სხვა წყაროებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ გადაგვევლო თვალი იმ ტრაგიკულ მოვლენათა მსვლელობისათვის, რომელთა ეპიცენტრში ოტომანური ქობულეთის (ჩურუქსუს) მმართველი გვარის შთამომავლები: ძმები ხასან-ბეგე, ალი-ფაშა და ოსმან-ფაშა თავდგირიძეები აღმოჩნდნენ.

I. რუსეთ-თურქეთის 1828-29 წწ. ომი და მუჰაჯირობის პირველი ტალღა

1828 წლის 15 აგვისტოს ახალციხის აღების შემდეგ რუსეთმა ანდრიანოპოლის ზავით ახალციხის საფაშოს 24 სანჯაყიდან 10 შემოიერთა: ქობლანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყვერი,

1. ილია ჭავჭავაძე. „ოსმალის საქართველო“ თხზ.ტ.4. თბ.1987. გვ. 470

ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჯარაქი, ფოცხოვი და პალაკაციო (ჩილდირი). 1877-78 წლების ომის შემდგომ მესხეთის მეორე ნაწილიც იქნა შემოერთებული, სახელდობრ აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი, ოლთისი. მთელ ამ კუთხეში ძირითადად ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ.

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, „მეტადრე ჯავახეთიდან (= ეხლანდელს ახალქალაქის მაზრას) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (=ახალციხის მაზ.). ქართველმა თავადაზნაურობამ კავკასიის მაშინდელ მთავარმმართველს, პასკევიჩს საქართველოს მეფეთა წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდებოდა, მაგრამ ის განრისხებულა და უარი უთქვამს. სანაცვლოდ, არნახული „გულმონყალება“ გამოიჩინა სომხების მიმართ. იმავე დროს ოსმალეთიდან, ყარსისა და არზუმის საფაშოებიდან, იქაური სომხობა გამოვლიდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოს 25 მან. დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა. ამის წყალობით 90 000 მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა. მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და ზემოთ მოყვანილი რიცხვითგან 30 000-მდე სომეხი დასახლებულ იქმნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში“.² იმავე წელს თურქეთიდან ბერძნებიც ჩამოსასახლეს, ხოლო მოგვიანებით, რუსეთიდან გადმოსახლებული სექტანტები.³

ამ გარემოებათა წყალობით ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მოსახლეობის სურათი არსებითად შეიცვალა: „1832 წლის აღწერამ დაამტკიცა, რომ მთელს ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანაში 50 000 ორთავე სქესის მცხოვრებიც-კი აღარ იყო. უნინ, მაგ. 1828წ., ამოდენი ხალხი მარტო ახალციხეში ითვლებოდა. ეროვნული შემადგენლობის მხრივაც მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში ძირფესვიანად შეიცვალა: თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 წ-ლს ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდნენ და ქართველ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილი-ლა ეჭირათ. ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდნენ სომხები ჯავახეთში ქართველ კულტურის ამ ძველის ძველს კერაში“.⁴

2. ივ. ჯავახიშვილი ისტორიული რარიტეტები. თბ. 1989. გვ. 48-49.

3. ბუჟან ხორავა. „აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა“. თბ. 2004. გვ. 4.

4. ისტორიული რარიტეტები. გვ. 48-49.

ანალოგიური სიტუაცია იყო აჭარაშიც. გიორგი ყაზბეგი აღნიშნავდა 1828-29 წლების ომის დროს რუსეთის არმიის სარდლობის, კერძოდ, გენერალ ოსტენ-საკენის უტაქტობასა და მოუქნელობას, როდესაც მან უხეშად დაარღვია თითქმის უკვე მიღწეული მოლაპარაკება ბეჭუთოვსა და ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილს შორის აჭარის რუსეთთან შეერთების შესახებ. ძალადობითა და სოფლების გადაწვით რუსები ნათლად ანახებდნენ აჭარლებს თავიანთ ქვეშემარტ სახეს, რომლებმაც აღარ იცოდნენ, თუ ვისთვის შეეფარებინათ თავი და აჯანყების და ფირალობის იმედზე-ლა დარჩნენ.

ასე გასტანა კიდევ ნახევარმა საუკუნემ.

II. 1853-54 წწ რუსეთ-თურქეთის ომი და ჰასან-ბეგ თავდგირიძე

რუსული თვითმპყრობელობითა და სოციალური უსამართლობით წელში განყვეტილმა „ვაის გაყრილმა“ და „უის შეყრილმა“ გურულებმა 1841 წელს „ოლქობა ქნეს“ და აჯანყდნენ.⁵ ეგ. ნინოშვილი „ჯანყი გურიაში“ გადმოგვცემს თუ რა დიდი გავლენა იქონია მოვლენათა განვითარებაზე ქართული და მსოფლიო პოლიფონიური ფოლკლორის გურული შედეგის – „ხასანბეგურას“ გმირმა, „ქობულეთ-აჭარაში ვაჟ-კაცობით განთქმულმა, თავისებურმა პოლიტიკოსმა, გონებაგამჭრიახმა ქობულეთის ბეგმა ჰასან თავდგირიძემ... როგორც ეს ხშირად სჭირს ხალხს, რომ ერთ ვინმე ადამიანს ტყუილუმართლთა აიჩემებენ, ცამდე აიყვანენ და გააღმერთებენ, გურულ ხალხსაც ეგრე მოუვიდა. გაიცნეს თუ არა ჰასან თავდგირიძე, უცებ მოედო იმისი ქება მთელ გურიას; დიდსა და პატარას ამ დროს გურიაში ჰასანბეგი უტრიალებდა ენაზე და ქებას ასხამდენ... ქალებსა და ბავშვებსაც კი ისე ენატრებოდათ ამ საარაკო ბეგის ნახვა, რომ როცა გაიგონებდნენ, ამა და ამ გზაზე ჰასან-ბეგი გაივლისო, გზის ნაპირი გაივსებოდა ხალხით“.⁶ ჰასან ბეგის ასეთი პოპულარობის საიდუმლოება მარტივი ასახსნელი იყო: ის გურულების მონატრებული სისხლით ახლო ნათესავი იყო, თავადაც გურული, რომელიც, რელიგიური განსხვავების მიუხედავად, რუსების წინააღმდეგ აჯანყებაში აქტიურ თანადგომას, სამხედრო მხარდაჭერასა და შემდგომ ერთიანობას ჰპირდებოდა დიდი ხნის დაშორებულ გურულებს: „იმ დროს, როცა გურიის ხალხი სულელივით ღალატდებდა ჰასან თავდგირიძის ქებას, ამ ხერხიანმა ბეგმა კიდევაც შეასრულა ამ ხალხში თავის წადილი, ესე იგი ააღელვა გურიის ერი რუსეთის წინააღმდეგ... ცბიერმა თავდგირიძემ ალუთქვა გურიის ხალხს შემწეობა

5. ეგ. ნინოშვილი. „ჯანყი გურიაში. ისტორიული რომანი 1841 წლის გურიის ცხოვრებიდან“. ქართული პროზა. ტ.15. თბ. 1988. გვ. 89.

6. იქვე. გვ. 19-20.

ტყვიან-ნამლით, თოფ-იარაღით, ჯარით, ფულით და სხვებით და 1841 წელს ააჯანყა ისინი რუსეთის წინააღმდეგ... გურიის ხალხზე თითქმის ულამაზესი, უკობტავესი და უვაჟუცავესი ქობულეთის ხალხი გულის ძგერით მოელოდა, გაივლის ეს ერთი ღამეც, მოაღწევს განთიადი და გაუჭრენთ ქ. ოზურგეთს ცეცხლსაო...“⁷

მოგვიანებით, 1853-55 წლის ყირიმის ომის დროს ოტომანური ქობულეთის მმართველი თავდგირიძეების გვარის შთამომავლებმა, დედასთან და მუსლიმი ქართველებისგან მათ მიერ შექმნილ სამხედრო მილიციასთან ერთად, სახელი გაითქვეს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლით ყირიმისა (1853-55) და ე.წ. „93 არბის“ ომების დროს (1877-78).⁸ ჯერ კიდევ 1853 წელს ბათუმისა და გურიის მიდამოებში თავმოყრილი იყო თურქეთის მძლავრი კორპუსის დამკვრელი შენაერთები სამი ძმის – ალი-ფაშა, ოსმან-ფაშა და მათი ნახევარძმის, ხასან-ბეგ თავდგირიძეების მეთაურობით, რომლებმაც ერთგვარი წარმატებანი მოიპოვეს ფრონტზე. როგორც ოტომანური, ასევე ბრიტანული საარქივო მასალა აშუქებს 4 ძმა თავდგირიძის (ხასანის, სეფერის, ალისა და ოსმანის) „გმირული თავდადების“ ეპიზოდებს. ხასან-ბეგ თავდგირიძე, რომელსაც დარჩა შვილი – მურადი,⁹ დაიღუპა კიდევ ყირიმის ომში („ხასანბეგურას“ მიხედვით, ის მოკლეს შეკვეთილ-ლანჩხუთის შეტაკებაში); ამ დროს დაიღუპნენ, აგრეთვე, ძმები თამაზოღლები და სხვა, სულ 1000 კაცამდე.¹⁰

„ხასანფაშა, ჩემი ძმაი, თავმოჭრილი დავინახე,
რადგან იყო ჩემი ძმაი, ვაი — მეთქი, დავიძახე,
წინა ღამით მან გადაგვწვა, მით დაიგო ცუდი მახე
რადგან ჩემი ძმაი იყო, ბოლოს მაინც მე დავმარხე“.¹¹

„ხასანბეგურაში“ მოხსენიებული „ხანუმა“ („ხანუმს საჩუქრად მივართმევთ რახტით შეკაზმულსა ცხენსა“) უნდა იყოს თავდგირიძეების დედა – ფატმა დინდინე ხანუმი. არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვითაც დინდინე ხანუმი იყო ხასანის არა დედა, არამედ მეუღლე. მიუხედავად ზეპირსიტყვიერებასა და ფოლკლორულ ტრადიციებში დამკვიდრებული მოსაზრებისა, რომ

7. იქვე. გვ. 20, 118.

8. BOA: ID. 23155; A. MKT. NZD. 193/22. თურქეთის გენშტაბის არქივი ანკარაში. ე.წ. ATASE.

9. Oktay Özel “Women, Justice and Power in the late Ottoman Society: the Story of Firuze Hanım” (Bilkent University).

10. აზიზ ახვლედიანი. „აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“. ბთ. 1970. გვ. 110.

11. „ხასანბეგურას“ ტექსტი მოგვყავს CD-ის „ერთი შედეგრი — „ხასანბეგურა“ მიხედვით.

ის იყო ხასანის მეუღლე, ოფიციალური ოტომანური დოკუმენტების მიხედვით დინდინე ხანუმი იყო ალი-ფაშას და ოსმან-ფაშას დედა და შესაბამისად, ხასანის დედინაცვალი. საარქივო მასალებზე დაყრდნობით და იქედან გამომდინარე, რომ ალი-ფაშას მიერ ორდუში მამისა და დედის საპატივცემულოდ აგებული შადრევანი მოიხსენიებს „ფატმა დინდინე ხანუმს“ ალი-ფაშას დედად – თურქი პროფ. ოქტაი ოზელი, ალი-ფაშას ქართული „მილიციის“ ერთ-ერთი წევრის შთამომავალი, აკეთებს დასკვნას, რომ დინდინე ხანუმი დანამდვილებით იყო ხასან თავდგირიძის დედინაცვალი.¹² ყირიმის ომში ხასანის სიკვდილის შემდეგ დინდინე ხანუმმა დაიკავა მისი ადგილი და ცხენზე ამხედრებული იბრძოდა რუსების წინააღმდეგ. ვინმე ფრედერიკ მილინგენის (იგივე, კიბრისლიზადე ოსმან ბეისა და იგივე, ვლადიმირ ანდრეევიჩის) ცნობით, დინდინე ხანუმი შემჩნეული იყო თავისი ვაჟების, ხასანისა და ალის მიერ წარმოებულ ყმების გაყიდვის გარიგებებში ჯერ კიდევ ქობულეთში. სწორედ მას მიჰყავდა დიდგვაროვნებისთვის მისი შვილების მიერ დატყვევებული ვაჟები და ქალიშვილები სტამბულის სასახლეში გასაყიდად.¹³ ამის შესახებ წინამდებარე ნიგნში ზ. ჭიჭინაძეც წერს.¹⁴

1859 წელს, რუსების მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ჩეჩნები, დაღესტნელები და ოსები თურქეთისაკენ დაიძრნენ; 1863-64 წლებში ამ პროცესმა მოიცვა მთელი დასავლეთი კავკასიაც. იგი აფხაზეთსაც შეეხო. 1867 წელს აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლება თურქეთში მოჰყვა აფხაზების ლიხნის 1866 წლის აჯანყების მარცხს. ამ დროს 20.000 აფხაზმა დატოვა სამშობლო შარვაშიძეებისა და მარშანიების ხელმძღვანელობით. 1877 წლის აგვისტოში მოხდა აფხაზთა მეორე მასობრივი გადასახლება თურქეთში, რომლის დროსაც 30.000-მდე აფხაზი გადასახლდა. ამის წინააღმდეგ მაშინ ერთთავად აღდგა ქართველი საზოგადოებრიობა.¹⁵ გრიგოლ ორბელიანი კავკასიის არმიის მთავარსარდლის უფროსის მოადგილეს, სვიატოპოლსკ-მირსკი წერდა: „აჭარიდან და ყარსიდან გრძელდება ოსმალეთში გადასახლება. რას მივანეროთ ეს მოვლენა – სხვა მორწმუნეთა გაქცევა რუსეთის თვითმყოფელობისაგან. ყირიმი დაცარიელდა, ჩერქეზები ორასი ათასზე მეტი გადასახლდნენ ყუბანიდან, აფხაზეთი დარჩა მოსახლეობის გარეშე. ახლა ყარსისა

12. Özel, "Çürüksulu Ali Pasha", p. 114.

13. Frederick Millingen, "The Circasian Slaves and the Sultan's Harem", Journal of the Anthropological Society of London, Vol. 8 (1870-1871).

14. ზაქარია ჭიჭინაძე. „თავდგირიძიანთ გვარის ლალატი და ალი ფაშა თავდგირიძე“. ახ.-სენაკი. 1896. გვ. 32.

15. ბეჟან ხორავა. „აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა“. გვ. 6-7

და აჭარის მოსახლეობა გარბის ჩვენგან, როგორც ქირისგან. ნუთუ ყოველივე ეს ფანატიზმით აიხსნება?... ადამიანი რა რელიგიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, უპირველეს ყოვლისა, ეძებს დამშვიდებულ, წყნარ ცხოვრებას... და ემორჩილება სამართლიან კანონებს, რა ენაზეც არ უნდა იყოს დანერილი იგი¹⁶. ცხადია, ასეთ საქმიანობას, რუსეთის ნაცნობი პოლიტიკა ედო საფუძვლად, რაც ზუსტად აისახა ბათუმის სამხედრო გუბერნატორისადმი სვიატოპოლსკ-მირსკის მიმართვაში: „ბათუმის ოლქის მიღებით რუსეთმა მიიღო ბუნებრივი სიმაგრე კავკასიის საზღვრების ყველაზე უფრო საშიშ კუთხეში, რომელსაც ჰყავს მეტრძოლი და ნახევრად დაუმორჩილებელი მოსახლეობა, ხალხი, რომელიც თურქეთთანაა დაკავშირებული რელიგიით, ამიტომ იგი საშიშ ელემენტს წარმოადგენს ციხის შიგნით და მისი იქ ყოფნა შეუძლებელია... ადგილობრივი მოსახლეობა უნდა მოვიცილოთ“¹⁷. გარდა ამისა, მუჰაჯირობას ხელს უწყობდნენ ბათუმის სამხედრო გუბერნატორი გენერალი კომაროვი, გენერალი სტეფანოვი და მრავალი სხვა¹⁸. ამასთან ერთად, ახლადშემოერთებულ რაიონებში რუსეთის მეფის მთავრობამ მაშინვე შემოიღო ახალი გადასახადები და საჩქაროდ დაიწყო მისი აკრეფა. ნიკო ნიკოლაძე სწორედ ამას თვლიდა ხალხის აღშფოთების ერთ-ერთ მიზეზად: „ხალხმა ვერც კი მოასწრო ომის უბედურებისა და დარბევისაგან თავის დაღწევა, რომ მათგან გადასახადი აიღეს ექვსიდან ათ მანეთამდე და ამავე დროს მისი აკრეფისათვის ყველაზე უხემ მეთოდებს იყენებდნენ“¹⁹.

III. 1877-78 წწ რუსეთ-თურქეთის ომი: ალი და ოსმან-ფაშა თავდგირიძეები

1877-78 წლების ომისათვის რუსეთი უკვე შეეცადა გაეთვალისწინებინა საკუთარი შეცდომები და ქართველების დახმარებით წინასწარ მოემზადებინა ნიადაგი ამ მხარის შემოერთებისათვის. რუსეთ-თურქეთის ომის წინ ქრისტიან და მუსლიმ ქართველებს შორის საიდუმლო მოლაპარაკებები იმართებოდა. ქრისტიანთაგან მოლაპარაკებებს იყვნენ გრიგოლ დავითის ძე გურიელი და მიხეილ ალექსანდრეს ძე მეფისაშვილი ანარმოებდნენ: ერთი – გურიის მთავრის შთამომავალი, მონათესავე აჭარისა და ქობულეთის ბეგების ხიმშიაანთ და თავდგირიძეების გვარებისა, მეორე – ახალციხელი კათოლიკე, შემდგომში ართვინის მაზრის უფროსი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მთელ ოსმალის საქართველოში; მუსლიმთაგან

16. შუშანა ფუტყარაძე. „ჩვენებურების ქართული“. ბთ. 1993. გვ. 11

17. იქვე

18. იქვე, გვ. 12

19. იქვე; „დროება“. 1879, №14

მოლაპარაკებები მიდიოდა ბათუმის, აჭარის, ქობულეთის, შავშეთისა და ლივანას ადგილობრივ ბეგებთან: შერიფ ბეგ ხიმშიაშვილთან, ალი-ფაშა და ოსმან-ფაშა თავდგირიძეებთან და სხვა.²⁰

ალის და ოსმანს, რომლებიც გრიგოლ გურიელს მამიდაშვილი-შვილებად ეკუთვნოდნენ,²¹ ხშირი შეხვედრები და მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან. ზ. ჭიჭინაძე იგონებს, რომ ერთი ასეთი „...წერილი მე თვითონ ვნახე გრიგოლ გურიელის სახლში 1890 წ. განსვენებულმა წერილი მიჩვენა და თან ბევრი ამბებიც მიამბო ალი ფაშას შესახებ... წერილიდამ აღმოჩნდა, რომ ალი ფაშას ქართული წერა კითხვა მეტათ უხეიროთ სცოდნია“;²² პროფ. ო. ოზელის ცნობით, ძმებს არც „თათრული“ სცოდნიათ წესიერად.²³ „ნეტარხსენებული გრიგოლ გურიელი ცრემლით სტიროდა თითქმის“, რათა ალი-ფაშასათვის გადაეფიქრებინა ქართველების მასიური აყრა და ოსმალეთში გადასახლება; 100 ოქროც უსესხებია მისთვის, მაგრამ ამაოდ – მისი წარგზავნილი შაქირ (ქამილ) ფაშა ხიმშიაშვილი ყემპერ ალა ტაკიძესთან ერთად „ოსმალში აქა იქ ადგილებს ეძებდა და ამით აიძვებდა ქართველებს რომ კაი ალაგები სჩნდებო“.²⁴

ილია ჭავჭავაძე, „შინაურ მიმოხილვაში“, დიდი გულისტკივილით აღწერდა აჭარისა და ქობულეთის 1878 წლის სიდუხჭირის რეალურ სურათს: „აჭარა და ქობულეთი... ომის მოედნად გახდა ბედმა. აქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალისი. ჯარების დგომა, ნამეტნავად, ერთი ერთმანეთზედ სამტროდ გალაშქრებულისა, რასაკვირველია, კეთილს არ დააყრიდა ხალხს საზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ, რომლის მამულშიაც ჯარები იდგა და რომლის ბედი წინადავე არვინ იცოდა, ვის ჩაუფარდებოდა ხელში. ამიტომ ამკარაა, რომ არც რუსი გაუფრთხილდებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოსმალს, არც რუსი მოიქცეოდა გულმტკივნეულად და არც თათარი...“²⁵ მოვლენები ასეც განვითარდა: 1877 წლის შემოდგომაზე რუსეთის მხედრობა ოზურგეთის მხრიდან ნელ-ნელა გაემართა ოსმალის საზღვარზე და სოფ. ლელვაში დაბანაკდა. მშვიდობისათვის განწყობილი ქართველი მეომრებისათვის სავსებით მოულოდნელი აღმოჩნდა კინტრომის ტრაგედია: „ამ ზამთრის პირზედ გაიმართა ცხარე ბრძოლა, კინტრომის ხეობაზედ რუსეთის მხედრობის დიდი ძალი ჯარი მოისპო, აქ განყდა მთლად კახეთიდან

20. თედო სახოკია. „მოგზაურობანი“. ბათ. გვ. 195.

21. ზ. ჭიჭინაძე. „თავდგირიძიანთ გვარის ღალატი...“. გვ. 16, 26.

22. იქვე. გვ. 36.

23. ix. Oktay Özel, “Çürüksulu Ali Paşa ve Ailesi Üzerine Biyografik Notlar”, Kebikeç, 16 (2004).

24. ზ. ჭიჭინაძე. „თავდგირიძიანთ გვარის ღალატი...“ გვ. 42-43.

25. ილია ჭავჭავაძე. თხზ. თბ. ტ.5 1955. გვ. 27.

გაყვანილ ქართველ მეომართ რიცხვი ისე, რომ იმოდენა კახელობისაგან შინ აღარავინ დაბრუნებულა ცოცხალი. ესენი აქ ისე უღმერთოდ მოი-სპნენ, რომ მრავალ მათგან დახოცილები კინტრიშს მიჰქონდა და ზღვას აძლევდა. ქობულეთელთ მძლავრად გაიმარჯვეს და რუსეთის მხედრობა საშინლად დასწყვიტეს... აქ ოსმალთ ჯარს სარდლობდნენ ალი ფაშა და ოსმან ფაშა თავდგირიძეები²⁶ მათი ხელმძღვანელობით, როგორც ზ. ჭიჭინაძე აღწერს, ქობულეთელებს, აჭარა-ლივანას და სხვა მუსლიმ ქართველებს ინგლისის დედოფლისთვისაც მიუწერიათ, „რომ ჩვენ ქარ-თველები ვართ, ჩვენი ქვეყანაც საქართველო არის და ამიტომ გთხო-ვთ, რომ თქვენი მფარველობის ქვეშ მიგვიღოთო“.²⁷ როდესაც ამან არ გაჭრა, საბოლოოდ გადანწყვიტეს ხალხი დაერაზმათ ოსმალეთში გადა-სახლებისათვის და აქტიური წინააღმდეგობა გაენიათ მათთვის, ვინც საქართველოში დარჩენისაკენ მოუწოდებდა მუსლიმ ქართველებს.²⁸

IV. 1880-იანი წლები და მუჰაჯირების დამკვიდრება თურქეთში

ცხადია, რომ კინტრიშის სისხლისმღვრელი ომის შემდეგ თავდგირიძეებს საქართველოში აღარ დაედგომებოდათ, მაგრამ არც ძალაუფლებისა და გავლენის გარეშე უნდოდათ ოსმალეთში გადასა-ხლება. ამიტომ ალი ფაშამ ახალი ისტორიული ავანტიურა წამოიწყო: ის ქართველთა ორად გაყოფისა და მანამდე უპრეცედენტო მასიური მიგრაციის, ე.წ. „მუჰაჯირობის“ ისტორიულ პროცესს ჩაუდგა სათა-ვეში. ქართველთა სისხლში მოთხვრილ და რუსებისგან დაშინებულ ქართველ მუსლიმებთან ერთად მან დაიწყო მოსახლეობის ფართო ფენების აყოლიება ემიგრაციისათვის. ალი ფაშას გრიგოლ გურიე-ლისათვის უთქვამს: „ჩვენი აქ დარჩენა აღარ შეიძლებაო. ხალხსაც ეუბნებოდა თურმე, რომ ჩვენი აქ დარჩენა და რუსის ხელში ყოფნა შეუძლებელია.²⁹ მიუხედავად ამისა, გრიგოლ გურიელის მეცადინეო-ბით „10 000 კაცმა ლაზეზმა და ქობულეთელებმა, საწინააღმდეგოდ მომზადებულებმა დაჰყარეს თოფ-იარაღი და დამორჩილდნენ ბედსაო,“ – წერდა სერგეი მესხი თავის „დროებაში“ 1878 წლის 22 აგვისტოს.³⁰ თუმცა, რუსებისაგან იმედგაცრუება და მათდამი შიში სახეზეა: „როცა რუსმა აჭარა-ქობულეთი შემოიერთა, გვეგონა, რუსების ხელში

26. „გრიგოლ გურიელი“. კრებული. გამოსაცემად მოამზადა ილია თავბერიძემ. თბ. 2006. გვ. 32.

27. იქვე, 38.

28. იქვე.

29. ზ. ჭიჭინაძე „გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზიბეგის მოგზაურობა აჭარაში“. გაზ. „ტრიბუნა“. № 99-100. 1921.

30. „ბათუმისაკენ. ოზურგეთი. 22 აგვისტოს“. „დროება“, 1878წ. N174. 29.VIII.

პატარას ამოვიყენებდით თავისუფლად, მაგრამ უფრო მწარე დღე დაგვადგა. წამოგვესია ათასი წამუსზე ხელ-აღებული მოხელე, წამო-გვესია და ჯოჯოხეთის ტანჯვასა და წამებას მიგვცა. შეგვიგინეს სარწმუნოებაც და ადათ-ჩვეულებაც. ბევრმა ისევ ოსმალეთის უღელი აირჩია და ცოლ-შვილიანად გადაიხიზნენ იქ... ჩალის ფასად ყიდდნენ სახლ-კარსა... და ამ ძვირფას მამულს უცხო ტომის ხალხი პატრონობდა.³¹ ს. მესხს ერთ-ერთი ბათუმელი ეუბნება: „იმისთანა კუთხეებია აჭარისკენ და მაჭახელაში, საცა ოსმალოს ჯარს და არც ჩინოვნიკს თავის დღეში ფეხი არ შეუდგამს. თავის დაჩაგვრად მიაჩნიათ ამათ, როცა ჯარს ჩაუყენებენ სოფელში... სულ სხვანაირი ხალხი ვართ, ბატონო, ჩვენ, სხვანაირად გვეჭირვება მოპყრობა და გამგეობა“.³² მოგვიანებით, იმავე სურათს გვიხატავს ჰაიდარ აბაშიძეც: „როცა რუსეთის ჯარებმა განდევნეს ოსმალები, აჭარას ახალი უბედურება ეწია – ბათუმის გუბერნატორმა ლიხნოვმა აჭარლები მოლაღატეებად გამოაცხადა და ბევრი მათგანი შორეულ მხარეში გადაასახლა“.³³

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შედეგად რუსეთის საზღვრებში გადასულ ბალკანეთის, ჩრდილოეთ შავი ზღვისა და კავკასიის მუსლიმ მოსახლეობას ეძლეოდა სამი წლის ვადა დარჩენილიყო თავის სამშობლოში ან თურქეთში გადასახლებულიყო.³⁴ ამის შედეგად, ოტომანთა დაკარგული ტერიტორიებიდან ასი ათასობით კაცი გადასახლდა ძირითადად, ანატოლიაში; ანალოგიურად, XX საუკუნის დასაწყისში, უამრავი ანატოლიელი, ძირითადად სომხები და ბერძნები, გადასახლდა „რუსეთის კავკასიაში“, ძირითადად საქართველოში.³⁵ 1879 წლის 27 იანვარს სტამბულში დადებული ტრაქტატის თანახმად მუჰაჯირობის ოფიციალური ვადაც კი იქნა დაწესებული – 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე, თუმცა აჭარელთა მუჰაჯირობა და აჭარელთა მასიური გასახლება ადრე დაიწყო და შემდეგ 1884 წლამდე გაგრძელდა; მეტიც, ოფიციალური თურქეთის 1879 წლის 19 თებერვლის თანხმობის მიუხედავად, „გაპარსვისა და გაციმბირების“ შიშით, ისინი 3 თვის განმავლობაში არ უშვებდნენ რუსებს ქალაქში: „იმფერი ჩხუბი ვქენით, რომ თებერვალში

31. აზ. ახვლედიანი. „აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“. გვ. 121.

32. იქვე, გვ. 130

33. ჰაიდარ აბაშიძე. „წერილები“. თბ. 1963. გვ. 16.

34. იხ. Oktay Özel, "Çürüksulu Ali Paşa ve Ailesi Üzerine Biyografik Notlar", *Kebikeç*, 16 (2004), 95-144; Oktay Özel "Women, Justice and Power in the late Ottoman Society: the Story of Firuze Hanım" (Bilkent University).

35. აქ, ძირითად, იგულისხმება 1915-17 წლების სომხების გასახლება და 1924-26 წლებში თურქეთის რესპუბლიკას, საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის მოსახლეობის გაცვლა.

უჩსუბრად დათმობილ ბათომში რუსები სამ თვეს არ ჩამუშევით“.³⁶ ძირითადად შეძლებული მემამულეები აქტიურობდნენ, რომლებიც ჩალის ფასად ჰყიდნენ მამა-პაპისეულ საკარმიდამოს: „აქა რჩებოდნენ ღარიბნი და ლატაკნი, რომელთაც ცხოვრების სახსარიც არ აქვენდათ...“³⁷ ამ ვითარების გამო შეშფოთებას ვერ მალავდა გრიგოლ ორბელიანი: „ბათუმის ოლქიდან... თითქმის მთელი ხალხი აპირებს გადასახლებას. ასე გაუბრძან ჩვენს მართვა-გამგეობას ყველანი... რიგი ახლა აჭარაზე მიდგა, ამ უძველეს საქართველოს ნაწილზე, რომელშიც დღემდე არის წმინდად ქართული ენა შემონახული... ძველი ქართული გვარები ისევ მოიპოვება“...³⁸

ზ. ჭიჭინაძეს მოჰყავს ერთი ცნობა „ბათუმის მუფთის ჰასან ეფენდი გვერდძისაგან“, რომლის მიხედვით ოსმალეთში წასულთა საერთო რაოდენობა მილიონამდე ყოფილა: „დაიცალა ქობულეთი, მთლად მაჭახელა, მაჭახელიდამ 2000 კომლზე მეტი წავიდა, მთლად ლივანა და აჭარასაც მისწვდნენ, მარამ აქ მათს გველაძეობას წინ დახვდა წინააღმდეგი ძალა... მურღულსაც ამათ გაჰკრეს კლანჭები.“³⁹ მეორე ნაშრომში, „მუსულმან ქართველთ საქართველო“, ზ. ჭიჭინაძე გვამცნობს, რომ არ დარჩენილა სოფელი, რომელსაც მუჰაჯირობა არ შეხებოდეს: მაგალითად ქობულეთის მხარიდან 7 000 კომლზე მეტი წასულა; „მერისის თემში 700 კომლიდან 600 გადასახლებულა. მარტო ზედა და ქვედა აჭარას ამ წლებში დაუკარგავს 4 000 კომლზე მეტი... ბათუმისა და მის ახლო მდებარე რაიონებიდან თურქებმა გადასახლეს 20 000-ზე მეტი ქართველი... ალი ფაშას და მის ამხანაგების წყალობით სამი წლის განმავლობაში 150 ათასზედ მეტი ქართველ მაჰმადიანები გადასახლდნენ ოსმალეთში...“⁴⁰

ექვთიმე თაყაიშვილი 1907 წელს წერდა: „ოფიციალური ცნობებით, არდაგანის ოკრუგიდან სულ გადასახლდა ოსმალეთში 1 407 კომლი ანუ 22 843 სული, ამას უნდა მიემატოს კიდევ ფოცხოვის უჩასტიკიდან გადასახლებულნი 388 კომლი ანუ 3 752 სული. ოლთისის ოკრუგიდან გადასახლდა 1 063 კომლი ანუ 10 180 სული“.⁴¹

ზ. ჭიჭინაძე დეტალურ ცნობებს გვანვდის იმის შესახებაც, თუ სად რამდენი ქართული კომლი ჩასახლდა თურქეთში.⁴²

36. ა.ზ. ახვლედიანი. „აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“. გვ. 122

37. ზ. ჭიჭინაძე. „გიორგი... ყაზიბეგის მოგზაურობა აჭარაში“.

38. ა.ზ. ახვლედიანი. „აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“. გვ. 122

39. ზ. ჭიჭინაძე. „თავდგირიძიანთ გვარის ლალატი...“. გვ. 46.

40. ზ. ჭიჭინაძე. „მუსულმან ქართველთ საქართველო“. ტფ. 1909. გვ. 27.

41. ე.თაყაიშვილი, „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს“. გვ. 305

42. ზ. ჭიჭინაძე. „თავდგირიძიანთ გვარის ლალატი...“. გვ. 46.

ახლადდაარსებულ თურქეთის რესპუბლიკაში 1927 წელს მოსახლეობის ნახევარს მიგრანტები და არაადგილობრივი მოსახლეობა შეადგენდა: 5-6 მილიონი 11 მილიონიდან.⁴³ ეს, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფენომენი იყო, რომელმაც თვისობრივი ცვლილებები გამოიწვია როგორც ანატოლიის, ისე „რუსეთის საქართველოს“ ეთნო-რელიგიურ კომპოზიციასა და სოციო-კულტურულ სტრუქტურაში. მუსლიმმა ქართველმა მიგრანტებმა, თავიდან ძირითადად ორდუში მოიყარეს თავი. ამის შესახებ უხვი მასალები არსებობს როგორც თურქეთის ოტომანურ თუ ადგილობრივ (ტრაპიზონის), ისე ბრიტანეთის (PRO, London) და საფრანგეთის (ნანტი) არქივებში. თურქული და ბრიტანული საარქივო მასალების მიხედვით, 1879-1884 წლებში მარტო ქობულეთის რაიონიდან ორდუში სულ ცოტა 2 000 ქართული ოჯახი გადასახლდა.⁴⁴ იმ რეესტრში, რომელიც 1886 წლის 10 (23) აგვისტოს თავად ალი-ფაშა თვდგირიძემ გადასცა ოტომანურ მთავრობას, 1 034 ქართული ოჯახი დასახლდა ორდუს პერშემბეს, ბოლამანის, ულუბეისა და ჰაბსამანას (გიოლკოი) სოფლებში. იმის გათვალისწინებით, რომ ჭანიკის სანჯაყის ფაცას და უნიეს კაზემში ასევე დასახლდა ქართველ ემიგრანტთა დიდი რაოდენობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ემიგრირებულ მუსლიმან ქართველთა რაოდენობა ტრაპიზონის ვილაიეთში გაცილებით უფრო მეტი იყო. ტრაპიზონში ბრიტანეთის საკონსულოს ანგარიშები მნიშვნელოვან დეტალებს გვაცნობს ქართველი ემიგრანტების შესახებ, მაგრამ ნაკლებად აღწერს იმათ რაოდენობას, ვინც ბათუმიდან ტრაპიზონისა და სტამბოლის პორტებით გადმოვიდა თურქეთში.⁴⁵ 1881 წლის 26 მაისით დათარიღებული ანგარიში გვამცნობს, რომ ტრაპიზონის პროვინციაში წინა 2 წლის განმავლობაში გადმოსახლდა 25-30 000 ადამიანი და მათი სულ ცოტა ერთი მეოთხედი, მარტო ორდუში დასახლდა. 1881 წლის 6 აგვისტოს ანგარიშში კი ნათქვამია, რომ 1879 წლიდან ბათუმ-ქობულეთიდან ტრაპიზონის პროვინციაში გადასახლდა 6 193 ოჯახი, რაც უხეშად შეადგენს 30-40 000 კაცს. აქედან 4 550 ოჯახი დასახლდა ორდუში, ფაცასა და უნიეში, ხოლო მარტო ორდუში – 1 900 ოჯახი. 1882 წლის 5 იანვრის ანგარიშში მოყვანილია თავად ალი-ფაშას მიერ წარმოდგენილი რეესტრი. ანალოგიურად, ოტომანთა მთავრობის მიერ მომზადებული მონაცემებით, 1882 წლის 28 სექტემბრისათვის მოყვანილია 12 404 მამაკაცისა და ქალის სია, რომლებიც დასახლდნენ ფაცაში, უნიეში, ჩარშამბასა და

43. Kemal H. Karpat, *Osmanlı Nüfusu (1830-1914)*; Donald Quataert, *The Ottoman Empire, 1700-1922*, Cambridge: Cambridge University Press, 2000, p. 115.

44. Irade Dahiliye, 79703.

45. PRO. FO.195/1381.

თერემში.⁴⁶ 1882 წლის 18 თებერვლის მონაცემებით, კვლავ ალი-ფაშას წყაროებზე დაყრდნობით, ამ თარიღისათვის იმ ქართველი ემიგრანტების რიცხვი, რომლებმაც ზღვით დატოვეს საქართველო, შეადგენდა 80 000 კაცს, ვინც ხმელეთით – 40 000 კაცს, ხოლო ისინი ვინც დარჩნენ „ოტომანთა დაკარგულ ტერიტორიებზე“ – 40 000 კაცს.⁴⁷

გადასახლებულთა ნაწილს ისე გაუჭირდა, რომ მათ ოსმალეთში საკუთარი შვილების გაყიდვა დაიწყეს, აღებული ფულით საქართველოში სიმინდს ყიდულობდნენ და გემებით მიჰქონდათ საქმელად. უამრავი შიმშილის, მგზავრობის, ავადმყოფობის გამო დაიხოცა... „ყველა ამ უბედურებათა მომხდენათ ალი ფაშა თავდგირიძე ითვლება, ყველა ეს ბოროტება ამან მხოლოდ თავის თავის ასამაღლებლათ მოახერხა და დაღუპა იმოდენა ხალხი“.⁴⁸ ბევრი მათგანი მისირში (ეგვიპტეში) გარეკეს, ზოგი დიარბექირს და ზოგიც სტამბულს: არანაკლები ვნება მოუტანა აჭარლებს ოსმან ფაშა თავდგირიძემ, რომელიც იმ დროს ქედაში ცხოვრობდა, ხოლო შემდგომ ტრაპიზონში დასახლდა.⁴⁹

ბევრი მუჰაჯირი უკან დაბრუნებულა საქართველოში. ერთ-ერთი მათგანისგან ზაქარია ჭიჭინაძეს სოფ. წყალსმიერში (შავშეთს) 1895 წელს პირადად ჩაუწერია: „ღმერთმა ჰკითხოს ალი ფაშა თავდგირიძეს, შექერ ფაშა ხიმშიაშვილს, ოსმან ფაშას და ყემპერ ალა ტაკიძეს და ხოჯებს... მათ მოგვატყუილეს, მათ დაგვლუპეს... ოთხი წლის განმავლობაში 10 ათასზე მეტი მარტო ქობულეთელები განწყდნენ. აქეთაც არ გვიშვებდნენ. ეს გვიყო ალი-ფაშა თავდგირიძემ“.⁵⁰

1920 წელს იტალიელი ე.დ. დალესიო თავის წიგნში, „ქართველები კონსანტინოპოლში“ წერს, რომ იმხანად ქართველებს მოშენებული ჰქონდათ 64 ქალაქი თუ სოფელი.⁵¹ ქართველების რიცხვი სავარაუდოდ 140 000-მდე იყო, სადაც დალესიოს არ შეჰყავდა „ჭანები (მეგრელები)“: „ამათი რიცხვი რომ მივუმატოთ შავი ზღვის ნაპირა მარებში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა რიცხვს, სამასიდან ოთხას ათასამდე ავა“.⁵² პროფ. მ. ჯანაშვილის ცნობით, „...ბურსას, სამსუნსა და სხვა ადგილებში მთელი მესხეთიდან გადასახლებულ იქნა ნახევარ მილიონამდე კაცი“.⁵³

46. Berat Yıldız, *Emigration From the Russian Empire to the Ottoman Empire...*, Bilkent University, Ankara 2006. agreeTve, BOA, Sadâret Defteri, 291/1.

47. PRO. FO. 195/1420.

48. ზ. ჭიჭინაძე. „თავდგირიძიანთ გვარის ლალატი...“ გვ. 44.

49. იქვე. გვ. 45.

50. იქვე. გვ. 49-50.

51. შ. ფუტყარაძე. „ჩვენებურების ქართული“ გვ. 10.

52. იქვე.

53. საბჭოთა კავშირის პრეტენზიები თურქეთისადმი. გვ. 63.

V. მუჰაჯირთა ასიმილირების პროცესი

მუჰაჯირ ქართველებს რომაელების, ბერძნებისა და სომხების ნასახლარსა თუ სრულიად დაუსახლებელ პუნქტებში ისეთი ადგილები აურჩევიათ საცხოვრებლად, რომლებიც მამა-პაპათა სამკვიდროს ჩამოჰგავდა, რაც ასახულია კიდევ მოსახლეობაში დღემდე მიმოფანტულ მრავალ ლექსსა თუ სიმღერაში: „ბათუმი და გურია, მასვი წყალი, მწყურია...“ აჭარის მთიანეთიდან წასულებს ტყითა და ცივი წყაროებით მდიდარი ადგილები შეურჩევიათ საცხოვრებლად (მაგ. ბურსის ვილაეთის ინეგოლის რაიონის სოფლები: ბახჩაყაია, ფაზარალანი, ჰილმე, მეზითი, გუნექესტანა, თუფექჩი ქონაქი, ყეზელი, ჰაირიე... ადაფაზარის ვილაეთის აქიაზის რაიონის სოფლები – აჰმედიე, გავრხარმანი, ქიუჩუჯექი და სხვა). ქობულეთ-ჩაქვიდან წასულები კი უფრო ზღვის სანაპიროებზე, დაბლობ ადგილებში დასახლებულან (მაგ. ფაცის, სამსუნის, სინოპის, იზმირის, ადანის, რაიონების სოფლებში; ინეგოლის რაიონში სოფელი „ხასან ფაშა“ და სხვა).⁵⁴ ჩვენებურები მრავლად არიან აგრეთვე სტამბულსა და ანკარაშიც. იშვიათად ვხდებით გურიიდან, სამეგრელოდან და ქართლიდან გადასახლებულთა შთამომავლებსაც. მაგ. თოქათის რაიონში დღესაც ცხოვრობენ, როგორც თავად თვლიან, გიორგი სააკაძის ამაღამი მყოფი ქართველების შთამომავლები.⁵⁵

პირველი ქართველი ემიგრანტები, ალი-ფაშასა და მისი რაზმის ხელმძღვანელობით, კანონ-დაუმორჩილებლობითა და თავნებობით გამოირჩეოდნენ. ჯერ კიდევ ქობულეთსა და ბათუმში, ასევე ორდუში, კოჭორში, სევაზის ვილაიეთში, მათ სახელი გაითქვეს როგორც მექრთამეებმა და მოსახლეობისაგან ფულის გამომძალველებმა; აჭარაში ანდაზადაც იყო შემორჩენილი: „ალი ფაშას სამართალი ფულით იყიდებოდაო“. ტრაპიზონში, მათ, ფაქტიურად, შექმნეს სახელმწიფო სახელმწიფოში, თავიანთი „შავი“ წესებითა და კანონებით და არ ეპუებოდნენ ოტომანური ხელისუფლების ადმინისტრაციას. ტრაპიზონის გუბერნატორის, სირი ფაშას მიერ 1883 წლის 25 მარტს ოტომანთა შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი წერილის თანახმად, ემიგრირებულმა ქართველებმა „აიკლეს ორდუ, ფაცა და უნიე“.⁵⁶

ამასთან, ალი-ფაშა მუდამ სპეკულირებდა თავისი ქართველობით, მისი მზარდი სამხედრო დაჯგუფებითა და მისი ნება-სურვილის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, თავისი მრავალათასიანი სამხედრო

54. შ. ფუტყარაძე. „ჩვენებურების ქართული“. გვ. 16-18.

55. იქვე 18; გვ. 63-64

56. ATASE, ORH 16, 111; 16, 113; 16, 114; 1, 167; 14, 52; 25, 74:1-3; 70, 163; 70, 185; 71, 87; 92, 11; 92, 28:1-5; 92, 30; 92, 33; 92, 34-2; 92, 35:1-4.

შენაერთებით, „რუსეთის საქართველოში“ დაბრუნებითა და თურქეთის წინააღმდეგ ქმედებებით იმუქრებოდა.⁵⁷ ეს კი აფრთხობდა თურქეთის ხელისუფლებას, რადგან კარგად იცოდა თავის დროზე ალი-ფაშას ურთიერთობა რუსეთის მხარესთან.⁵⁸ ალი-ფაშას მხარს უჭერდა ასევე ოტომანური იმპერიის სულთან აბდულაჰმიდ II-ის ქართველი იუსტიციის მინისტრი.⁵⁹ მან მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი სამხედრო შენაერთების რაოდენობაც, დიდი ძალაუფლებაც შეიძინა და 1886 წლის 7 აგვისტოს სულთან აბდულაჰმიდ II-ის საპატიო *aide-de-camp* (*yâver-i şehriyâri*) პოზიციამდეც კი ამაღლდა.⁶⁰ 1886 წლის თებერვალში, ეგეოსის კონფლიქტის ესკალაციის დროს, ალი ფაშა თავს უყრის 10 000-ზე მეტ მოხალისეთა ლაშქარს ორდუს ქართველებსგან და თავის სამსახურს სთავაზობს სულთანს.⁶¹ აღსანიშნავია, რომ ბრიტანელი კონსული ალფრედ ბილიოტი მას ლაზად მოიხსენიებს, რაც ჯერ კიდევ იმ დროისთვის ლაზებისა და ქართველების ერთიანობას უსვამს ხაზს.⁶² სტამბოლში ის გადასახლდა 1887 წლის 25 მაისს,⁶³ საიდანაც კვლავ პატრონობდა მუსლიმ ქართველთა დიასპორას, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა კიდევ აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, სამსუნიდან ტრაპიზონამდე, დამკვიდრებული არასტაბილურობა, რაც ოტომანური ქობულეთის დროიდან მოყოლებულ უამრავ ძარცვა-დაყაჩაღებაში, მკვლელობაში, გაუპატიურებაში და შეთქმულებების ორგანიზებაშიც კი გამოიხატებოდა (ოტომანურ ქობულეთში „მოღვაწეობისას“, 1852-53 წლებში, ის ბაიბურთშიც კი იყო გადასახლებული).⁶⁴

57. BOA, ŞD. 1835/14; 1836/16. PRO. FO. 195/1457, Despatch no: 50, October 12, 1883.

58. Prime Ministerial Ottoman Archive, İstanbul (hereafter BOA), ŞD. 1834/14.

59. PRO. FO. 195/1488 (Despatches nos. 33, 37, 38, 39, and 40. Mr. Biliotti).

60. BOA. İD. 998/78850). BOA. Y. MTV. 29/112. Y. PRK. MYD. 6/75.

61. BOA. Y. EE. 58/24.

62. "Tsorooksooli Ali Pacha, who as the head of Laz volunteers, distinguished himself during the last war with Russia, and is one of the principal agents for the Laz migration from the territory ceded to that power, has lately received the Grand Cordon of the Osmanie, with a flattering message. In thanking his sovereign [= the Sultan] for the high distinction, bestowed on him, Ali Pacha assured his majesty that in case of war he would be ready to take part in the struggle with a Corps of four or five thousands volunteers. I have no doubt that the Lazes who are very warlike, Ordou where Ali Pacha, and his brother Osman Pacha have unbouded influence well answer the call of their chiefs, whenever it may take place." British Consular reports from Trabzon (from Mr Alfred Biliotti), January 28, 1881. (FO19561381. Sead. BOA. Y. PRK. UM. 4/28 and İD, 66263, January, 1881).

63. Y.A.Hus. 202/72; 203/8.

64. BOA. A. MKT. NZD. 55/88; BOA. A. MKT. DV. 131/4; H. 1275/1859; BOA. Y. PRK. TŞF. 1/8. BOA. Y. PRK. UM. 1/38; BOA. A. MKT. MHM. 484/22; A. MKT. MVL. 143/5; BOA.Y.PRK.MYD. 6/38.

ალი-ფაშას პირველი ცოლი ბათუმელი აბდულა სეფერ ბეგის ასული იყო, ფირუზ-ხანუმი (ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ბეჟანაძის ქალი⁶⁵), რომელზეც ის დაქორწინდა ბათუმში 1876 წელს და რომელსაც გაეყარა ტრაპიზონში 1881 წელს; ოსმალეთში კი მან შეირთო ორი ცოლი – ჰამიდე ხანუმი და მერიემ ხანუმი (ზ. ჭიჭინაძის ცნობით, მენაზდის ქალი და ქარცივაძის ქალი⁶⁶). 1888 წლიდან 1911 წლებამდე ის სტამბულში ცხოვრობდა მის ორ ახალ მეუღლესთან და 5 შვილთან ერთად და დაიმკვიდრა ადგილი ოტომანთა მმართველი ელიტის, ანუ askerī კლასის რიგებში. ამ პერიოდში ის სტამბულიდან აკონტროლებდა ტრაპიზონში მიმდინარე მოვლენებს მისი ძმის, ოსმან ფაშას მეშვეობით, ხოლო ორდუს — ქართველი ემიგრანტების, მათ შორის ახალი თაობის მუსლიმი ქართველების, მეშვეობით.⁶⁷ 1909 წელს „დროების“ კორესპონდენტს სტამბულში, ალი-ფაშას სახლში, უნახავს ალი-ფაშას ერთ-ერთი ცოლი ქარცივაძე. ჟურნალისტი გადმოსცემს მის მოკლე, მაგრამ გულგახსნილ და ემოციურ ქართულ საუბარს, გურული კილოთი.⁶⁸

ალი ფაშა 80 წელს იყო გადაცილებული, როდესაც გარდაიცვალა მის სახლში,⁶⁹ სტამბოლში.⁷⁰ „ჩვენებურებში“ დღემდე შემორჩენილია ლეგენდა, რომლის მიხედვითაც პირველი მსოფლიო ომის დროს ალი-ფაშას ერთ-ერთი შვილი საქართველოში რუსებმა სამხედრო ტყვედ აიყვანეს, მაგრამ ქართველებმა ის გაათავისუფლეს და უკან, თურქეთში გააპარეს. ამისათვის მამინდელი თურქეთის ქართველობა მთელი ქართველი ხალხის მაღლიერი ყოფილა.

ალი-ფაშას მიერ წამოწყებული ქართველთა მიგრაციით გამოწვეული შედეგი თავის დროზე ზუსტად ასახა სახალხო მთქმელმა და ზაქარია ჭიჭინაძის უახლოესმა თანამებრძოლმა, იუსუფ ბეჟოლიმ (ბეჟანაძე) ერთ ლექსში, რომელიც დღესაც შემორჩენილია თურქეთის ქართველებში:

„მე ვიყავ(ი) ძველი ქართველი, ახლა უსუფ ვარ თათარი,
ხომ ყველა გადამემტერეთ რუსი ხელმწიფე, ხვანთქარი,
ერთი ვარ, ორსავ ვეყოფი, ჩემი სილალი მზად არი,
მე ისე მინას არ ჩავალ, რომ არ(ა) გნახოთ წამხდარი“.

მუჰაჯირობას, ქართველების ამ ერთ-ერთ უდიდეს ტრაგედიას,

65. ზ. ჭიჭინაძე. „თავდგირიძიანთ გვარის ღალატი...“. 1896. გვ. 47.

66. იქვე.

67. იბ. Oktay Ozel. “Çürüksulu Ali Paşa ve Ailesi”, p. 109 ff.

68. გაზ. „დროება“, N: 22 (1909).

69. საქართველოში გავრცელებული ვერსიის თანახმად, ოტომანებმა ალი-ფაშა სიკვდილით დასაჯეს, რასაც არ ადასტურებს ოტომანური არქივები.

70. (BOA. ZB. 319/41). Ozel, “Çürüksulu Ali Paşa ve Ailesi”.

სამწუხაროდ, დიდი ყურადღება და მნიშვნელობა არც მაშინ ექცეოდა და დღესაც არ ექცევა.

ზაქარია ჭიჭინაძის ფასდაუდებელი მემკვიდრეობა მოიცავს 120-ზე მეტ შრომას, „დროშაში“, „ივერიასა“ და ბათუმის ქართულ გაზეთებში დაბეჭდილ ასეულობით სტატიას, წიგნებს სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და მუსლიმ ქართველთა ყოფის შესახებ, მის მიერ გამოცემულ ათასობით წიგნს, მათ შორის, ბროსე-ჩუბინაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ მეორე გამოცემას (1913), აგრეთვე ოუენის, ფურიეს, პრუდონის, ლასალის, ლუი ბლანისა და კ. მარქსის ბიოგრაფიებსა და „პარიზის ქრონიკას“ (1910), უამრავი ქართული ხელნაწერის შეგროვებასა და გავრცელებას.⁷¹ მაგრამ მისი ღვაწლი, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ ის საქართველოდან მონყვეტილი ქართველი მოსახლეობისაგან წლების განმავლობაში სახელდახელოდ აგროვებდა უნიკალურ ისტორიულ მასალებს და მუსლიმ ქართველებში ქართულ წერა-კითხვას ავრცელებდა. თავად ამბობდა: „მე იქ მუდამ წელიწადს ვმგზავრობდი, სადაც მიმქონდა ქართული სხვადასხვა წიგნები გასავრცელებლად, თან ბავშვებს ვასწავლიდი ქართული წიგნების კითხვას... ამასთანავე ერთად ხალხში ვკრეფდი და იქვე ვწერდი ისტორიისათვის საყურადღებო ძველ ამბებს“.⁷² ამ მხრივ, ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობა უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე კანონზომიერება.

ამიტომაც წერდა ექვთიმე თაყაიშვილი: „არავინ დამოგზაურობდა და არც იცოდნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოს სამხრეთ მხარეებში, ნაოხარზე ხომ ათასი ჯურის გადამთიელი სახლდებოდა... რომ გეკითხათ, ყველა გეტყოდათ, დიდი პატრიოტები ვართო, მაგრამ გოლოვინის პროსპექტსა (ახლანდელი რუსთაველის გამზირი) და ქუთაისის ბულვარს იქით ფეხს აღარ გადაადგამდნენ“;⁷³

სწორედ ამიტომ წერდნენ შერიფ ხიმშიაშვილი, გულო-ალა კაიკაციშვილი, აბდულ მიქელაძე და სხვა გამორჩეული მუსლიმი ქართველები მაშინდელ ქართულ პრესაში: „ქართული წერა-კითხვის მცოდნე ჩვენში არავინ იყო და თუ იყო, იგიც ზაქარია ჭიჭინაძის, პეტრე უმიკაშვილის და თავადი ილია ჭავჭავაძის მეოხებით“.⁷⁴

სწორედ ამიტომაც წერდა გალაკტიონ ტაბიძე: „...საქართველოში, შეიძლება, არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც ზაქარიამ შეძლო. რიცხვი არა აქვს ზაქარია ჭიჭინაძის

71. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბ. 1987. ტ. 11. გვ. 403.

72. ზაქარია ჭიჭინაძე. „ქართველთა გამუსლიმება“. თბ. 2004. გვ. 9.

73. ექ. თაყაიშვილი. „დაბრუნება“ ტ. 1. გ. შარაძის რედ. თბ. 1991. გვ. 436, 11.

74. პაიდარ აბაშიძე. „წერილები“. თბ. 1963. გვ. 8.

მიერ გამოცემულ წიგნებს. თვით გამომცემელიც კი ვერ ახერხებს მათ ჩამოთვლას... იგი თვითონ წერდა, აწყობდა, თვითონ ბეჭდავდა, თვითონ ავრცელებდა. ზაქარია ჭიჭინაძის პორტრეტი საკმაოდ ნათელია. იგი არის წიგნის რაინდი“;⁷⁵

სწორედ ამიტომაც, მისი ნაშრომების გაშუქებას, როგორც აღინიშნა, იმთავითვე დიდ ადგილს უთმობდა ილია ჭავჭავაძე „ივერიასა“ და „დროებაში“...

სწორედ ამიტომაც ზაქარია ჭიჭინაძის არქივები ფართოდ აქვს გამოყენებული ივანე ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიაში“;

ამასთან ერთად, ზაქარია ჭიჭინაძის მემკვიდრეობა დღემდე ფაქტიურად უცნობია ქართველი საზოგადოებრიობისათვის, თუ არ ჩავთვლით გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ 2004 წელს გამოცემულ „ქართველთა გამუსლიმებას“. წინამდებარე გამოცემის მთავარი მიზანიც ეს არის: ფართო მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანოს 110 წლის წინ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ერთ-ერთი უნიკალური ნაშრომი: „თავდგირიძიანთ გვარის ღალატი და ალი-ფაშა თავდგირიძე“ იმ იმედით, რომ სამომავლოდ ამან სტიმული მისცეს მისი მრავალფეროვანი შემოქმედების სრულფასოვან წარმოჩენას.

მოვა დრო, როდესაც ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომთა სრული კრებული თითოეული ქართული საოჯახო ბიბლიოთეკის განუყოფელი ნაწილი გახდება და თავის ადგილს დაიკავებს ისეთი ფასდაუდებელი საუნჯის გვერდით, როგორც ჩვენთვის ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილისა თუ ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა...

75. ზაქარია ჭიჭინაძე. „ქართველთა გამუსლიმება“. გვ. 10.

თავდგირიძიანთ გვარის ღალატი და ალი ფაშა თავდგირიძე

ქამთა ვითარებამ საქართველო აღამალლა, დაანინაურა, შინაგან და გარეგან ძლიერის ძალოვნებით შემოსა. ერთ დროს ქართველნი თანაბარნი იყვნენ ძველის განათლებულ სახელმწიფოებისა. ქართველნი განვითარების მხრით მალე აღვიდნენ უმაღლეს წერტილამდის. საქართველოს ერი მოირთო სწავლა მეცნიერებით, ხელოვნებით, მხატვრობის ცოდნით, ჩუქურთმის ჭრით, მინის მზომელობით, ექიმობით, სამხედრო ძალით, მოქალაქეობით და მამულის მოყვარე გლეხ-კაცობით. ქართველი ერი და საქართველო რომ ისეთის ძლიერებით იყო გარემოცული, ამას აშკარათ ამტკიცებენ დღევანდლამდე აქა-იქ დარჩენილნი უზარმაზარნი ეკლესია, ციხე-კოშკ-მონასტრები და ხიდები. ასე იცის ერთობამ და ერთობის ძალამ. ეს ნაშთნი მონამენი არიან იმ წუთების, როცა ამაღლდა ჩვენი სამშობლო და ამასვე ხატავს შემდეგი:

**„აქ დაბლა მე ვარ მის მონამე და იქ მაღლა ცა,
როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა“.**

გავიდა ხანი და ჟამთა ვითარებამვე დასცა საქართველო და სასტიკათ დააუძღურა ქართველი. გარეშე მოსეულ მტრებთა მეოხებით შინათ ავიშალენით, ერთი ოჯახის და ტომის შვილებმა ერთმანეთს დავუნწყეთ ქეჯნა და ღალატი, კერძო პიროვნულის ანგარიშებით გატაცებულებმა ვუღალატეთ ქვეყანას და ერის ერთობის საქმეს და ჩვენის ხელით ჩვენს თავზე ვქმენით ის, რაც ჩვენზე მოსეულს მტრებს უნდა ექმნათ თავიანთის ხელით. უკანასკნელ ჟამს ქართველთა შვილებს ისე გაგვიღალდა გული, ისე გარდაგვებანა წმინდა

გულის ძვერა, ისე შევიცვალენით და ისე გადავსხვაფერდით, რომ თვით ჩვენვე გავხდით ჩვენი სამშობლო ქვეყნის მტერნი, ჩვენი მამულის დამაქცევარნი, ჩვენს მოსისხლე მტრებს მივენდ-მოვენდევით, მათ დროშის ქვეშ შევედით, მათ ერთგულებას და სამსახურს მივეცით თავი, მათგან ველოდით ჩვენს შვებას, ამაღლებას და დიდებას, ქვეყანა და ერი თითქმის გავყიდ-გავცვალეთ. ამაზე სთქვა პოეტმა:

„შენ რა, რომ ამშვენებ, შეს დამლუპველს ოსმალეთსა“.

ყველა ეს გულმოსაკლავი და სამწუხარო მოგონებანი, მკაცრათ გვეფლობენ და გვაგონდებიან მაშინ, როცა კი ჩვენ მოვიგონებთ დასავლეთ ქართველთა და საქართველოს ბედს, ოსმალთაგან ამ ერისა და ადგილების დაკავებას, მათგან ატეხილ დიდის ხნის ბრძოლას და უკანასკნელ ქართველთა ისე დამორჩილებას და დაუძლურებას, რომ ქართველნი თვით გახდნენ მტერნი ქართველობისა, საქართველოსი, ქრისტიანობისა და გუშინნინ თავის სამშობლოსაგან გამდგარი ქართველი, სჯულიდამ, მამულიდამ, ეროვნებიდამ ხელაღებული, დღეს თავის ტომისავე ქართველს და საქართველოს მტერს წინ მოუძლოდა და ყველაფრის დანთქმა-დანაცრებას უქადა. ასეთ პირებს, ასეთ იუდა-გამცემლებს, გულსა და სულს გარდაბანილებს და გაფუჭებულებს, ჩვენ, ჩვენს ისტორიაში ასობით და ორასობით ვპოვებთ.

ამას ჰგლოვობს ჩვენი ისტორია, ამას ჰკვენესიან ჩვენი მგოსნები, ამას სწუხან ყველა ჩვენი მონინავე მამულისშვილები და მწერლები. ამას შეეხო ბ. ნიკოლოზ ნიკოლაძე 1873 წ. ამასვე შეეხნენ მრავალნი სხვანი და ამასვე მისვტირი მე. ვსდგევარ არსიანის მთაზე, ვუმზერ მთელ დასავლეთ საქართველოს, ვტირი მწარეთ, გული ვერ მითმენს, ვსწყევლი ჩემს გაჩენის დღეს და ასეთ სამგლოვიაროს მღელვარებით აღვსებულს... მაგრამ რას ვიზამთ, ეს არს ხვედრი მისი, ვინც ჩვენს სამშობლოს გაიცნობს, ნამეტურ დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან მთლათ ფერფლათ ქცეულს.

II.

ჩვენის დიდებულის სამშობლოს საუბედუროთ, საკმარისად განვითარებულს და ამაღლებულს ქართველების დასალუპათ, ზოგიერთის ჩვენის ჩვილის მეფეებისაგან, საქართველოში იწყეს თავადაზნაურობამ გამრავლება. ამ გამრავლებას საქართველოსთვის მეტათ ცუდი შედეგი მოჰყვა, რადგანაც თავად აზნაურებში ათი და ოცი თუ რიგიანი პირები იყვნენ, სამაგიეროდ ასობით ურიგო და უხეირო პირებიც ჩნდებოდნენ, რომელნიც თავიანთ უმაღლესს

გვარშთამაოებით და მედიდურებით ყოველთვის მერყეობაში იყვნენ შთაცვივნილი, გონება და ხასიათით გალაღებული აქა-იქ ლტოლვას ეძლეოდნენ და პირად სიამოვნების გამო მეცადინეობას, ბრძოლას და ათასნაირს ხრიკებს, რომ ერთს მეორესთვის გაესწრო წინ, ერთი დანინაურებულყო და მთელი ქვეყნის ბედი ხელთ ეყურა. ამის მოსაპოვებლათ იგინი აღარაფერს ერიდებოდნენ, ყოველნაირს ღონისძიებას ხმარობდნენ, თვით მეფისა და ქვეყნის ღალატსაც, ოღონდ კი იგი ერთი ამათგანი დალუპულ ქვეყნის რომელიმე კუთხის მფლობელათ გამხდარიყო.

ასეთ პირებს მზე და მთვარე გაუბრწყინდათ მაშინ, როცა საქართველო უძღურებას მიეცა და გარეშე მოსეულ მტრებმა გვიწყეს აოხრება, ამ გარეშე მოსეულ მტრებისთვის საჭირონი იყვნენ შინათ გამცემელნი, იუდანი და აგერ ამათ მალე ჰპოვეს ჩვენს ერისთავებში ქართველთა მოღალატენი, ქართველთა მეუკადრისენი, ქართველთა მგმობელნი და დამნაცრებელნი. გალაღებულთა ქართველთა ზოგთა იწყეს მტრის ერთგულება და ქართველთა ორგულება, მტრებმა ესენი ისე აღბორგეს, ისე აღამხედრეს ბილნის გონებით და ჰაზროვნებით, ისე მოდრიკეს და გაამხეცეს ვითარცა დაბრმავებულნი და ბნელსა შინა მავალნი იუდანი.

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენს სამშობლოს რა გაჭირება უნდა მოსვლოდა? სრულიად არაფერი. იგი გაძლიერდებოდა, წინ წავიდოდა და ამალდებოდა ყოველნაირის ძალოვნებით. მაგრამ ასე იცის იქ, სადაც მოწინავე ძალა ეცემა, სადაც არ ჰკარგავს სულის სიმაღლეს, მამულის სწორ ჭეშმარიტს სიყვარულს, უზომო პატრიოტობას და ერთ უბრალო რამის გამო, ერთ რამ კერძო სიამოვნების გულისთვის ქვეყნის ღალატს და ბოროტებას ეძლევა.

გარემოებამ ესენი ისე შესცვალა, ისე გადაასხვაფერა, რომ მათ მალე დაუნყეს ურჩობა თვით მეფეებს, ესენი არას ეპუებოდნენ მათ, მთავრების მორიდება ხომ სულ არ ჰქონდათ, ყოველი მათგანი იმ ანგარებით იყო გარემოცული და აღბორგებული, რომ თვით ვარ ამა და ამ ხეობის თავადი, მთავარი და მეფეო, მე თვით მაქვს ჩემს ხეობაში ჩემი საკუთარი კოშკი, ციხე და ტაძარი. რად მინდა მთავარი, რას ვაქნევ მეფეს. ჩემი მხარის ერის ბედი ჩემს ხელში უნდა იყოს, მეფეც მე უნდა ვიყო და კანონმდებელიცაო!

ჩვენდა საუბედუროთ ჩვენს სამშობლოში ასეთი მოღალატე პირები იქამდის გამრავლდნენ და გახშირდნენ, რომ ესენი აღარც მეფეს ეპუებოდნენ და აღარც ბატონიშვილებს, ამათ მეფეები ხელზე დაიხვიეს, პამპულათ გახადეს, მეფე ამათ სიტყვის და ძალის მორჩილებას მიეცა, ამათ როცა სურდათ მეფეს მაშინ დასავამდნენ ტახტზედ,

როცა უნდოდათ ჩამოგდებდნენ, გარეშე მტრებსაც ეს სურდათ, ამათაც ეს უნდოდათ, იგინი ამის მეტს სხვას არას ეძიებდნენ. ეს იყო მათთვის სასარგებლო და სანატრელი, ამას მოითხოვდა მაჰმადიანთა პოლიტიკა.

ჩვენი მეფეები საბრალო არსებებით შეიქმნენ ერისთავების წინაშე, მათ აღარაფრის ძალა არ ჰქონდათ. ხანდისხან კი ჩნდებოდნენ ისეთი გულოვანი მეფეები, რომლებიც შინათ მოლაღატე პირების გაცემას მრისხანეს თვალთ უმზერდნენ, რისხვას სცემდნენ მათ ბოროტებას და თავისუფლათ ნავარდობის ნებას არ აძლევდნენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი გმირი მეფეები ჩვენს ქვეყანას უკანასკნელს საუკუნოებში ხშირათ აღარ ევლინებოდნენ, ამიტომ ერისთავები და სხვა კეთილშობილ სისხლნი ჩადიოდნენ იმას, რაც მათ სიამოვნებით სავსე გულსა და სულს ენატრებოდა, ერთი უბრალო ამათი შური და მტრობა ინვევდა ქვეყნის აღრევასა და ჟლეტა-წყვეტას, მაგალითებრ: ერთის თავადის ქალი რომ მეორე თავადის შვილს სდომნიყო შესართავად და მესამე ოჯახის შვილს შეერთო, მაშინ ამათში ჩხუბი და ომი ატყდებოდა და ამ სამი ოჯახის გლეხკაცობა ერთმანეთს ჟლედდენ და სწყვეტდენ. ერთი გვარის ხალხი, ხშირათ ნათესავნიც კი თავიანთი ბატონების მეოხებით მტრებათ უჩნდებოდნენ ერთმანეთს და უწყალოდ ჟლედდენ! ასეთ მებატონეთაგან ვინ იცის რანაირი ვნება არ მოსდიოდა საქართველოს და ნამეტურ გურია-იმერეთს. აი, ასეთ მოლაღატე და გალაღებულ გვართა რიცხვს ეკუთვნიან თავადი თავდგირიძეები.

თავდგირიძეები იმერეთში ძველათვე იქმნენ ცნობილნი და მეთვრამეტე საუკუნეში საკმარისათაც ამალდა ეს გვარი. ამათ ბინათ სადგური იყო გურიისაკენ. ესენი გურიის მთავართაც ენათესავებოდნენ და ხშირი მისვლა-მოსვლაც ჰქონდათ ერთმანეთში. მთავრებთა შორის ნათესაობამ უფრო გაამედიდურა თავდგირიძეების გვარი და აამალა უმეტესად. საქმე იქამდის მივიდა, რომ გურიის იქით, ბათუმამდის, სადაც კი ამ გვარის თავადის შვილნი სცხოვრობდნენ, იქ გამოცხადდნენ ესენი მთავრებათ, თავადობა აღარ იკადრეს, თავადთა უმაღლესობა ინდომეს და სრული გამთავრება და ბატონობა ქობულეთში. თავდგირიძეების გვარის ასე ამალლებამ ცოტა არ იყოს გურიის მთავარზედაც იქონია გავლენა, გურიის მთავრის წევრნი თვალხილულათ მიხვდნენ მას, რომ მათგან გათამამებულ და გალაღებულ თავდგირიძეების გვარის ამალლება იყო მათი გაურკვეველი შეცდომა, მაგრამ ამ შეცდომას რალა უშველიდა, აღარაფერი. გურიის მთავრები თავიანთ შეცდომას და სხვაფერ დამოკიდებულებას თავდგირიძეებთან წმინდა ნათესაურს მნიშვნელობას აძლევდნენ,

ნათესაურს კავშირს და ასე და ამისთანა მხარეებით შოშმინდებოდნენ და აწყნარებდნენ თავის მჩქროლვარე გულს, განაზებულს თვისებას და გვართშთამაოების ოცნებას.

მაგრამ განვლო დრო და ჟამმან და თავდგირიძეებს და გურიელებს შორის მცირე რამ უკმაყოფილება ჩამოვარდა. ამათმა სიამოვნების გულმა ერთმანეთის უკმაყოფილება ვერ აიტანა. იგინი ერთმანეთს სასტიკად შეენინაალმდეგენ და ერთმანეთის შებმა ისურვეს. სამართალი და კანონი მოითხოვდა, რომ თავდგირიძეები გურიელების მორჩილებაში უნდა ყოფილიყვნენ და ამათ მათი მორიდება უნდა ჰქონოდათ. მაგრამ თავდგირიძეებმა ეს არ ინდომეს. ესენი აღივსნენ მედიდურებით და კეთილშობილურის სისხლით და დაიწყეს გურიის მთავრების წინააღმდეგ მოქმედება. აი, სწორეთ ამ დროს შეესწრა ვინმე მამუკა თავდგირიძე, რომელიც საკმარისად განლალებული იყო თვით გურიის მთავრებისაგან.

როცა ეს პირი უზომოთ განლაღდა, მას შემდეგ მასთან ველარავინ გააწყო რა. იგი ქობულეთში გამოცხადდა ერთ უსასტიკეს გვამათ, გურიელის მოქიშპეთ, მთავრის ღირსების მოტრფიალეთ, მის მოდავეთ, მის მოთავთიშეთ, მედიდურთ თავადთა მეოხებით საქმე ისე მოეწყო, რომ მამუკა თავდგირიძე გახდა გურიის მთავრის დაუძინებელი მტერი და იმ ზომამდის წინ წასული, რომ უკანასკნელ თვით გურიის მთავრობის მოტრფიალეთაც კი აღმოჩნდა. ამან განიზრახა გულში გურიელების ღალატი, ოსმალთ მიმზრობა და მერე ოსმალთა მეოხებით ყველა თავის განძრახულებათა შესრულება. ბოროტი გვამის საღალატო განზრახულებანი დიდხანს არ დარჩა საიდუმლოთ. იგი მალე იქმნა გურიის მთავრისაგან შეტყობილი და ამიტომ მათში ჩამოვარდა სასტიკი მტრობა და ბრძოლა. ამათ ბრძოლას მეტათ ცუდი შედეგი მოჰყვა.

გურიელებმა თათბირი ჰქმნეს ზოგიერთ კეთილ გვამთა თანა დასწრებით და უკანასკნელად გადაწყვიტეს, რომ მამუკა თავდგირიძეს უნდა დავეცეთ, ქობულეთი ჩამოვართვათ და გურიას შემოუკავშიროთო. ეს აზრი ყველას მოეწონა, გურიელნი სამზადისს მიეცნენ, აქ უცბად გაჩნდნენ შინათ გამცემნი და მამუკა თავდგირიძეს მოახსენეს:

- გურიელი შენზე დაცემას აპირებს და აბა შენ იცი თუ გაუმაგრდები და შენ დაცემის მაგიერ მათ დასცემ, გურიელობას წაართმევ. გურიელათ შენ გამოცხადდი, ამისთვის ხონთქარიც შეგენევა.

- ეგ მე ვიცი, რაცხას წამართმევს გურიელი და თვით შეიკავშირებს, ვნახოთ, მოუძებნი მას წამალს.

მამუკა თავდგირიძემ აღარც აცია, აღარც აცხელა, საჩქაროთ გადავარდა ახალციხეში და ახალციხის ფაშას მოახსენა შემდეგი:

- დიდის მზისა და მთვარის ფაშავ, მე მსურს ხონთქრის ერთ-გულება. გურიელი მე მტრობს, ჩემი სამფლობელოს წართმევა უნდა და გურიასთან შეერთება. ეს კი წინააღმდეგია ოსმანის ძლიერებისა. ამიტომ ვითხოვ თქვენგან მფარველობას, თქვენ მე დახმარება მომეცით და მერე მე ვიცი როგორც გიერთგულებთ თქვენა, მე წმინდის მაჰმადის სჯულს მივიღებ, დასამტკიცებლათ იმისა, რომ ერთ-გული ვიქნები ოსმალის, მე წარმოვადგენ ჩემს შვილს მძევლათ.

- ძალიან კარგი, ეგ კარგი პირობა არის, შენ შენი შვილი მძევლათ წარმომიდგინე და მერე მე ვიცი შენის დახმარებისა.

მამუკა თავდგირიძემ მალე წარუდგინა თავის შვილი მაქსიმე მძევლათ. მაქსიმე დარჩა ახალციხის ფაშის კარზე და აქ მას თათრულეზრ დაუნყეს ზრდა. მალე თათრობაც შეაყვარეს. ახალგაზრდა მაქსიმე დაარწმუნეს, რომ შენ თათრულეზრ იწყე მოქმედება და სხვაფერ ფიქრი ნუ გაქვს, შენს საბრძანებელს არავინ გამოგწირავს, ყველაფერი შენ დაგრჩებაო და იქნება გურიაც ზედ დაემატოსო.

ამათაც ეს უნდოდათ.

გურიელებს ყველაფერი ეუნყათ, ამათ მიწერ-მოწერა დაიწყეს ახალციხის ფაშასთან და საუბარი მასზე, რომ თქვენ არ შეგფერით, რომ ჩვენს მოლაღატეებს იახლოვებთ და ჩვენს წინააღმდეგ რაზმავთო, ამას ჩვენი მეზობლური კეთილი განწყობილება ვერ აიტანსო. თორემ თქვენ რაც უნდა მიიმხროთ ეგენი, ჩვენ მაინც გადაწყვეტილი გვაქვს მათი დამორჩილებაო, გურიის ვითარება ამას თხოულობსო.

გურიელმა ფაშისაგან ასეთი პასუხი მიიღო:

- ჩვენ შენს მეზობლობასთან საქმე არა გვაქვსო. ჩვენ მუსულმანები ვართ და თქვენ ქართველები. ვინც ჩვენს სჯულს ეკედლება, ჩვენ მოვალეები ვართ, რომ იმას დავეხმაროთ, იმას ვუშველოთ. მამუკა თავდგირიძემ მაჰმადის ერთგულია და ჩვენ ამიტომ ვეხმარებით მას. თუ გნებავთ, გათათრდით და მაშინ თქვენ მოგემხრობით, მაშინ თქვენში სადავო არაფერი გვექმნება. ამას თხოულობს მუსლიმანობა.

გურიელმა პასუხი მისცა, უარი შეუთვალა: ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და ის კაციც, ვინც სჯულს იცვლისო. იყოს მაგრეო, როგორც გერჩიოთ ისე მომექეცითო, ვნახავთ ბოლოსაო?

მალე გურიელს, ახალციხის ფაშასა და თავდგირიძეებს შუა ომი და ოდიგრები დაიწყო. ეს ომი და ოდიგრები ისე წავიდა წინ, რომ მამუკა თავდგირიძემ ქობულეთი სულ აჭარელი ყაჩაღებით გაავსო. აჭარელნი უღვთოთ და ქურდულათ ეცემოდნენ გურიას და ხალხს იტაცებდნენ. მოტაცებულები ოსმალეთში გადაჰყავდათ და იქ ჰყიდდნენ კაი ფასათ. აჭარლები თავდგირიძემ ისე გაათამამა და გაათარეშა გურიაზე, რომ მასზე უსასტიკესი აღარა იქმნებოდა რა. მამუკა

თავდგირიძეს სამშობლო ქვეყნის ღალატი, მტრობა სანაქებოდ დაშთა ახალციხის ფაშისთვის და ნამეტურ აჭარლებისთვის. ამიტომ თავდგირიძეებს აჭარაში მამულიც აჩუქეს. ესენი მალე გადავიდნენ იქ. ზოგი მათგანი სოფელ მახუნცენთან დასახლდა. ეს ხანა მიენერება 1760-1770 წლებს.

აჭარის ბეგებმა ასე მაუწყეს, რომ აჭარაში თავდგირიძეების მოსვლა 1770-იან წლებს მიენერებაო. ახალციხის ფაშამ ოსმალს ჯარით და აჭარლებით გურია სძლია, მამუკა თავდგირიძე ქობულეთის მფლობელათ გამოაცხადა, გურიელებს და თავდგირიძეებს შუა მეზობლური განწყობილება დაარსდა და დამტკიცდა. ამისთვის პირობა ხელწერილით იქმნა დამტკიცებული. თავდგირიძეები გადგნენ გურიის სამთავროსაგან და იმ დღიდგან ამათ ინყეს თათრობა და თათრობისავე პატივისცემა და ერთგულება. ამასობაში მამუკა თავდგირიძის შვილი მაქსიმეც გაიზარდა. ეს თუმცა თათრობაზე იყო გამოზრდილი, მაგრამ ამას მაინც საკმარისად ერიდებოდა სჯულის გამოცვლა. ახალგაზრდა მაქსიმე გურიელებმა დაიახლოვეს, ამათ განიზრახეს მაქსიმეს მეცადინეობით ქობულეთის დამორჩილება და ერთგულება. მიტომ, მაქსიმე თავდგირიძეს შერთეს დავით გურიელის ქალი, მამიდა ცნობილის გრიგოლ გურიელისა.

განვლო დრო და ჟამმან და აკი მაქსიმე თავდგირიძეც არ მიიზიდეს ოსმალთა. ამას გვამში მკაცრათ ჩაუნერგეს ფაშობის შოვნის ტრფიალი.

ფაშობის მაძიებელი მაქსიმ თავდგირიძე ისე მოხიბლეს, ისე არიეს, რომ ამან მალე ისურვა თათრობის მიღება და გურიელებისაგან გადგომა. ამ დროს ამას მამაც მოუკვდა. ამან უფრო წააქეზა იგი. აშკარათ უნყო ქვეყანას მტრობა. სასტიკათ გადაეკიდა გურიელებს, მათში შეიტანა შფოთი და საგვარეულო განხეთქილება. ეს არ იკმარა მტერმა და ქვეყანას და ერს სხვა მხრით და სხვა გზითაც დაუნყო მტრობა და ღალატი. მაქსიმე თავდგირიძემ ჩუმათ გაიჩინა აჭარელ ყაჩაღთა დასი, ამათ ინყეს გურიიდან ხალხის ტაცობა და ოსმალში ვაჭრობა. ამ ხელობას ადგა მამუკა თავდგირიძე და შვილიც მამის გზას და კვალს გაჰყვა, საქმე სახუმრო აღარ იყო. გამხეცებული თათარ-ყაჩაღები გურიის ხალხს აქა-იქ შეუზრალბლათ იკლებდნენ და ანიავებდნენ. გურიელები მოთმინებისაგან გამოვიდნენ, ამიტომ ამათ მიმართეს მაქსიმე თავდგირიძეს და მოახსენეს:

—ვაჟო! დაანებეთ ღალატს თავი, ჩვენი თუ ჯავრი გჭირს, ჩვენ გვედავე, ჩვენ გვეჩხუბეთ. ხალხს თავი გაანებეთ.

მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მაქსიმე თავდგირიძემ ეს არ ინდომა.

- რას მიქვიან მორიგება, მე თვით გურიელი ვარ, მე თვით ვარ მთავარი ჩემის მხარისა, ოსმალს მივემხრობი და გიჩვენებთ თქვენ სეირს. თქვენ გინდათ, რომ ქობულეთი წამართოთ და გურიას შეუერთოთ, ეს არ იქნება, ქობულეთის ბატონათ და მთავრათ მე უნდა დავშთე.

- იყოს მაგრე, მაგრამ ვინც ინანოს, იგი იყოს მღვთის წინაშე პასუხისმგებელი, ბატონო, რათ გინდათ მაგრე მეფობა და გამგეობა. ჩვენი ერთობა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, თუ ეს არ იქმნა, მაშინ ოსმალნი წაგართმევენ ქობულეთს, თქვენ გაგაუქმებენ და მერე გურიას მოადგებიან. ერთ დროს ჩვენ ორივე დაკარგავთ ჩვენს სამთავრო ძალას, მიუგეს გურიელებმა.

- მაგრე იყოს, მიუგო მაქსიმე თავდგირიძემ. მე დაკარგვა მირჩევნია, ოსმალმა რომ წაიღოს ის მიჯობს, ხოლო ჩემფერ გურულ კაცს კი არ დაუვარდები ძირს, მე არ დავიჩაგრო. ასე ზომავს ჩემი ჭკუა.

საქმე დროებით დაშოშმინდა. თავდგირიძე ჩურჩინას მიეცა, ამისთვის საჭირო იყო ფული, ფულის შესაძენათ აი რას შერებოდა: მიჰყვა თავის ყმებს და გოგო-ბიჭები აღარ დასტოვა, ყველა ოჯახს წაართო ყმანვილები, ძუძუმწოვარებს გარდა, თითქოს ხუთ-ხუთი წლის ყმანვილებსაც კი იტაცებდა, ყველა ამათ შეაგროვებდა ერთათ, გადარეკდა ახალციხეში, ტრაპიზონში და იქ ოსმალებზედ ჰყიდდა. თავადმა მაქსიმე თავდგირიძემ მთელს ოსმალეთში სახელი განითქვა, როგორც ჩინებულ ქართველთა შვილების დამსყიდავმა. მაქსიმე თავდგირიძე თავის ყმების შვილების დაყიდვას რომ მორჩა, მერე რამდენიმე ყაჩაღი ყმები შემოიხვია გარს. ესენი გაალაღა, გაოსტატა, გაოსტატებულებს მიუსევდა ხოლმე სახასო გლეხებს, საეკლესიოს, სათავადოს, შვილებს სტაცებდნენ და ყველა ამათ მიერ-ეკებოდნენ ოსმალეთში გასასყიდათ. ამ პირის მეოხებით ახალციხეში სამარცხვინო ქართველთა შვილების გასასყიდი ბაზარიც კი განწესდა. ახალციხეში ამისაგან ჩარეკილს გოგო-ბიჭებს ყოველთვის ახალციხის ფაშა ყიდულობდა.

ჩვენ აქ ამ გაყიდ-გამოყიდვაზე ერთობ ადვილათ ვლაპარაკობთ. ამ გაყიდვის დროს ყმანვილებისაგან დიდი გოდება და ტირილი ისმოდა ხოლმე, დიდი წყევლა და შეჩვენება, მათის გამყიდავის, გმობა, მაგრამ გამყიდავს ვინ რას უზამდა. იგი ქვეყანას ღუპავდა და შენ რამდენიც გინდოდა გენყევლა? მათთვის სულ ერთი იყო, ოღონდ თავიანთი ველური აზრები და მოთხოვნილება კი დაეკმაყოფილებინათ. გლეხების ტაცობით მაქსიმე თავდგირიძემ დიდხანს ვერ ინავარდა და იბატონა. რასაც ეს გურულ გლეხებში ფულებს

იღებდა ამაზე მეტი მას ხონთქრის მისართმევად ეხარჯებოდა, რაის მეოხებით თანხას ვერ ადგენდა, რომ ამ დიდის თანხით შესაძლებელი ყოფილიყო დიდი ბატონობის შესყიდვა. ამას სურდა, რომ ქრთამების მიცემით ქობულეთის ფაშობა მიეღო და მიღებისას კიდევ გათათრდებოდა. ჯერეთ ქობულეთში დამკვიდრდებოდა და გაიმაგრებდა ფეხს და მერე იქიდან გურიელებს დაუნყებდა ჩხუბს, გურიას აიღებდა, გურიელათ თითონ გახდებოდა, გურია ოსმალოს საფაშალიკოთ გარდაიქცეოდა და მერე გურიასაც გაათათრებდა. ამის ფიქრი ასე იყო, რომ ერთი ფაშა ახალციხეს ყოფილიყო, როგორც იმ დრომდის იყო და მეორე გურიაში, გურია ანუ სანჯაყათ დაენიშნათ. მაქსიმე თავდგირიძემ იმდენი იგველაძუა, რომ კინალამ დავით გურიელიც მიიმხრო თავისკენ, მაგრამ ამას სხვა გარემოება წამოეჩხირა წინ და ამან შეაბრკოლა მათი განზრახვა. ამაზე ჩვენ სხვა წერილში ვსწერთ.

მაქსიმე თავდგირიძემ ფაშობის შოვნის გამო უღალატა ქართველებს, თავისი გლახკაცობა მთლათ ოსმალეთში გადარეკა და გაყიდა, მაგრამ მაინც ვერა ეშველა რა, სტამბოლს წასვლა ვერ მოახერხა, ქრთამის მისაცემათ დიდი ძალი ოქრო და ვერცხლი იყო საჭირო და იგი რაც ფულებს შოულობდა გურული გოგო-ბიჭების დაყიდვით, ამ ფულებს მას სულ ახალციხის ფაშა სტყუებდა, რადგანაც იგი ჰპირდებოდა, რომ გურიის ფაშობას მე გიმოვნო. დრო გადიოდა და მაქსიმე თავდგირიძეს კი წადილი არ უსრულდებოდა. თავდგირიძე ამაზე დიდათ დარდობდა, აღარ იცოდა რა ექმნა, ახალციხის ფაშასთან თათბირი ჰქმნა. ფაშამ უთხრა:

- მაქსიმე! შენ ოლონდ გათათრდი და მას მერე ყველაფერი ადვილი იქმნება. მე დიდათ დაგეხმარები.

- შენ თუკი მომიხერხებ რამეს, მე მზათა ვარ, დიდის სიამოვნებით გავთათრდები. — მიუგო მაქსიმე თავდგირიძემ.

- ყველაფერს მოგიხერხებ, ეჭვი ნულარ გაქვს, — უთხრა ფაშამ და ამათ ერთმანეთს სიტყვა მისცეს.

ფაშას ძლიერ გაეხარდა მაქსიმე თავდგირიძის სიტყვა გათათრებისთვის. ფაშას მით უფრო უხაროდა ეს, რადგანაც ასეთის თავადის გათათრებისთვის იგი სულთანისაგან დიდს მადლობას მიიღებდა. აქამდე თავდგირიძე აძლევდა ფაშას ქრთამებს, რომ მის დახმარებით ფაშობა ეშოვნა, ახლა თვით ფაშამ დაუნყო მას ქრთამით დახმარება, ოლონდ კი იგი გათათრებულყოფს. ესეც მალე მოხდა. მაქსიმე თავდგირიძემ თავის ცოლს განუცხადა:

- მე უნდა გავთათრდე, თუ გინდა შენც გათათრდი, ფაშობას ვიშოვნი, გურია არ ამცდება და შენც გურიის დედოფლათ გაგხდი.

- უწინამც დღე დამელევა, მე ვერ გავთათრდები. შენ როგორც გერჩიოს ისე ქენი, მე გუროიაში გადავალ.

- უბრალოთ შეინუხებ თავს. მე გავთათრდები, ფაშობას მივიღებ, მერე გუროიას ავიღებ და შენც გაგათათრებ.

- მაშინ მოხდეს ისე, როგორც შენ გენებოს, თუკი შენ მაგაებს მოახერხებ, რასაც ბრძანებ, ეგ მერე ვნახოთ. ცოლ-ქმარნი ასე მორიგდნენ ერთმანეთში. მასქიმე თავდგირიძე მალე წავიდა ახალ-ციხეში და ფაშას გამოუცადა შემდეგი:

- მე მზათ გახლავართ გათათრებისათვის.

- ძალიან კარგი, ჩემო მაქსიმე - მიუფო ფაშამ.

ფაშამ მალე იხმო მოლა ხოჯები და დიდს ამბით ახალციხის ჯამეში მაქსიმე თავდგირიძე გაათათრეს და სახელათ სულეიმანი უწოდეს.

გათათრების დღეს ამას ფაშამ დიდი პატივი სცა და რჩევა მისცა, რომ სტამბოლში წასულიყო და სულთანს გამოსცხადებოდა. ფაშამ ურჩია, რომ უფროს ვეზირს და სულთანს რამდენიმე გუროიის გოგო-ბიჭები წაყვანეო და იქ შენ მაშინათვე მოგცემენ ქობულეთის ფაშობასო. სულეიმან თავდგირიძემ სცნა ფაშის რჩევა და დიდათ დადარდიანდა, რადგანაც ამისთვის ადვილი აღარ იყო გოგო-ბიჭების მოგროვება, საკუთარი ყმები მას აღარ ჰყავდა და გუროიის ხალხიც ემტერებოდა.

მან დაიწყო გუროიდან ქურდულათ გოგო-ბიჭების ტაციაობა, ზოგს მეზატონეთაგან ყიდულობდა, მალე შეჰყარა ორმოცდაათამდის გუროიის გლეხის მშვენიერი გოგო-ბიჭები, ესენი შეაგროვა ერთად, მალე ჩარეკა ბათომში, ჩაყარა ერთს გემში და გაუდგა სტამბოლის გზას. თან წაიღო ახალციხის ფაშის წერილი. ეს მალე მიშავდა სტამბოლში, ნახა დიდი ვეზირი, მთავრო ქრთამი, ამის შემდეგ ეღირსა სულთანის ნახვას და მასაც მთავროვა გოგო-ბიჭები და თან გარდასცა ახალციხის ფაშის წერილი. სულთანმა სცნა თავდგირიძის გათათრება, ერთგულება და ამიტომ მას ტანზე ხელი გადაუსვა და მადლობა უთხრა, ნიშნათ პატივისცემისა. თავადის შვილობის სამაგიეროთ სულთანმა ბეგობა მისცა, მცირეთ ფულიც და თან დაჰპირდა, რომ შენ დაბრუნდი შინა და ჩვენ ყველაფერს აგისრულებთო. სულეიმან თავდგირიძე სიხარულით სავსე და დაიმედებული დაბრუნდა საქართველოში და მალე მოვიდა. მოსვლისთანავე ამას უწოდეს სულეიმან ბეგი-ქობულეთისა.

სულეიმან ბეგი ხონთქრის მოწყალებას მუდამ დღე ელოდა, ამიტომ ეს გურულების და ქრისტიანების სავნოთ აღარაფერს საძაგლობას ერიდებოდა. ამან ხელახლა დაიწყო გოგო-ბიჭების

ტაციობა, ძარცვა-გლეჯა, ქრისტიანების შეწუხება და ჩაგვრა, ამას გარდა იგი მიჰყვა ეკლესიების ძარცვას, გაძარცვის შემდეგ ქცევა-ნგრევას. ამან გამოსდევნა ხინონმიდის ეკლესიის ეპისკოპოზი, ამან ააკლებინა ეს ეკლესია და გააძარცვინა. ერთი სიტყვით ეს ურცხვი მოღალატე ქართველთა სისხლის მსმელათ გარდაიქცა, ამისმა აბეზარობამ და ბოროტებამ გურია შეაწუხა, მის სასტიკის ხმა და ბოროტება სტამბოლშიაც კი გაისმა. ძალადობით, ხმლით თავის კვეთით და სიკვდილის დაქადებით ამან ბევრი ქართველიც გაათათრა, ქობულეთის გაათათრების საქმე თითქმის ამის მტრობით და საძაგლობით იქმნა დაწყებული, მაგრამ ეს ბოროტი ამასაც არ დასჯერდა, მალე თავის შვილები მოსტაცა მეუღლეს და იგინიც გაათათრა. ვერც ამით ეშველა რამე, დღე ღამე ფაშობას ელოდებოდა, მაგრამ ვერ მოესწრო წადილის შესრულებას და ქვეყნისა და სჯულის მოღალატე გარდაიცვალა უბრალო ბეგის სახელწოდებით. ამ ბოროტის ქართველის უპირველესი შვილი იყო მემედ ბეგი თავდგირიძე.

მემედ ბეგი თავდგირიძე მამამ ადრიდანვე შეაჩვია მუსლიმანობას, ქართველთა მტრობას, სისხლის სმას და ბოროტებას; მამა შვილს ავალებდა, რომ შვილს ისეთი ერთგულება აღმოეჩინა ოსმალეთის მთავრობის წინაშე, რომ მისი მეოხებით ოდესმე ფაშობა მიეღო.

მემედ ბეგს მამამ ადრიდანვე მიუჩინა მოლა ხოჯები მასწავლებლათ, მოლა ხოჯები სწვრთნიდნენ მას თათრულ წერა-კითხვაში, სჯულის შესწავლაში. ამ პირებმა მემედ ბეგს სასტიკათ ჩაუწერეს ფანატიზმი, მემედ ბეგს ქართული წერა კითხვაც სცოდნია, ამისგან და ამის მამისაგან ქართულათ დანერილი წერილები მე თვით ვნახე. ესენი თავიანთ თავებს ქობულეთის ბეგებს უწოდებდნენ და წერილის ბოლოს თათრულს ბეჭედს ასვამდნენ. წერილებიდან სჩანს, რომ მამაცა და შვილიც დიდი მოდავენი, მოქიშპენი და მოღალატენი ყოფილან გურიელებისა. ეს მასალები მე მოვიპოვე ოზურგეთის სამაზრო სამმართველოს ძველი არქივის ქალაქებში, რომელი არქივის 120 ფუთი ქალაქები ოზურგეთის ვაჭრებზე იქმნა გაყიდული. მე აქა-იქ მენწვრიმლის დუქნებში შევკრიბე ესენი და „წერა-კითხვის სამართველოს“ გარდავეცი. გურიამ ამით დიდი ძალი მასალები დაკარგა და ნამეტურ გლეხკაცობამ თავის წინაპართა თავ-გადასავალთა მრავალი ძვირფასი ცნობები.

ქობულეთში ამით ჰყვანდათ შედგენილი ახალ გაათათრებულ ქართველთა დასი და ესენი გურიაში საიდუმლოთ გლეხებში ქადაგებდნენ და გლეხებს აქეზებდნენ, რომ იგინი ქობულეთში გადასულიყვნენ, იქ თათრობა მიეღოთ, ოსმალს მფარველობის ქვეშე შესულიყვნენ

და მაშინ იგინი გათავისუფლდებოდნენ თავიანთ მეტატონეთ მონობისაგან და ქართველთა და რუსთა სამეფოს მფლობელობისა და ხარკისაგან. ესენი იხმობდნენ თავისკენ ყველა დამნაშავეებს, კაცის მკვლელებს და ყაჩაღებს, ვინც კი რამეს დაამაჟებდა გურიამი და ამას გურიელების სამართლით დასჯას გადაუწყვეტდნენ. ის იმდენს ეცდებოდა, რომ ქობულეთში გადავიდოდა, იქ თავდგირიძეების მფარველობის ქვეშ რაკი შევიდოდა მერე ამას აღარაფრის შიში აღარ ჰქონდა, იგი გათათრდებოდა და შემდეგ თავისუფალი იყო ყველანაირი შიშისაგან. თათრობა მას პატიოსნებასა და სიმართლეს სძენდა. უნდა ითქვას, რომ თავდგირიძეების მეოხებით ჩვენს სამშობლოს დიდი ზარალი მოუვიდა. გურიას ამათ დიდი უბედურება დაატყეს თავზე, ესენი უსისინებდნენ ძმას – ძმაზე, თავადს – თავადზე, აზნაურს – აზნაურზე და ყველა ამით კი თათრობას შეელოდნენ. გურულ ნვალებულს გლეხკაცებს უხვათ იძენდნენ, ათათრებდნენ და თავიანთ ძალას ამაგრებდნენ ამით.

სწორეთ ამ დამლუპავი გვარის მეოხებით მოხდა, რომ გურიაში ყაჩაღობა და კაცის კვლა გამრავლდა, ყოველ კაცის მკვლელის და ყაჩაღის ბუდეთ ქობულეთი ითვლებოდა და ამათ მფარველათ თავდგირიძეები. ეს ხელობა თავდგირიძეების ისეთ მემკვიდრეობით საკუთრებათ გარდაიქცა, რომ როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორეთ ასეთისავე თვისების და ხელობის იყო მემედ ბეგის შვილი — ალი ფაშა თავდგირიძე. ზემოხსენებულიასვე პირების მეოხებით ოსმალს ფულით გურიის ზოგიერთ მეტატონეთაგან შესყიდულ იქმნა სოფ. ჭახათი, კეჭიეთი და რამდენიმეც სხვები, რადგანაც მათი დამორჩილება ოსმალს მონა თავდგირიძეებმა ვერა ღონისძიებით ვერ მოახერხეს. სოფლის შესყიდვის შემდეგ ხალხი გათათრებულ იქმნენ სრულიად. ასე და ამ გვარად თავდგირიძეები სასტიკ მუხათ და რისხვათ მოველინენ თავიანთ სამშობლო ქვეყანას და უღვთოთ დაღუპეს გურიის ერი. მათგან გაყიდულის გურულის გოგო-ბიჭებით აქამდის სავსე იყო მისირი, დიარბეჩირი, სტამბული და სხვა ადგილები. ამას „კალმასობის“ დამწერიც ხომ მოგვითხრობს, რომ მისირში ყველა ფაშები ქართველები არიანო, საქართველოდგან პატარაობის დროს მოტაცებულნი და გაყიდულნი, რომელთაც შემდეგ იქ ფაშობა მიუღიათო. მაგრამ არც თავდგირიძეებს შერჩათ თავისი ავკაცობა, მემედ ბეგი თავდგირიძეც უბრალო ბეგის სახელწოდებით გარდაიცვალა, იგი არ ღირდა მის სამშობლო ქვეყნის ღალატის ფასათ. სულიემან ბეგმა თავის სამშობლოს ბეგობის გამო უღალატა. თავადობა ბეგობაზე გასცვალა. ბეგობის სახელით მოკვდა, ისევე დაემართა მის შვილებს.

მაქსიმ (სულეიმან) თავდგირიძის მეუღლე კი, დავით გურიელის ქალი, დაშთა ქრისტიანობაზე მტკიცეთ, ამ ქალმა არაფერს უღალატა. ის ყოველთვის მეცადინეობდა შვილების და შვილიშვილების ქრისტიანულად განვრთნაზე და გამოზრდაზე. მაგრამ იმოდენათ ველარას აწყობდა, რადგანაც ქართველთა მტრობის შხამი სულეიმან ბეგის შვილის შვილებს მემკვიდრეობით უფრო სასტიკათ ეძლეოდათ და უფართოვდებოდათ. ეს პატიოსანი მანდილოსანი გარდაიცვალა ამ საუკუნის ნახევრის რიცხვებში, იგი დასაფლავეს ქრისტიანულის წესით, ქობულეთის სოფ. გვარას, ხუცუბანს ზევით, თეთროსანის ნაეკლესიარზედ. თეთროსანის დაქცევის მიზეზები მის მეუღლე სულეიმან ბეგ თავდგირიძესაც ეკუთვნის.

სულეიმან ბეგის შვილს მემედ ბეგს ჰყავდა ორი ვაჟი, ერთს ალი ერქვა და მეორეს ოსმანი. ორივე ესენი ჯერ შინ სწავლობდნენ და მერე სტამბოლის სამხედრო სასწავლებელში. სწავლის დამთავრების შემდეგ ალი თავდგირიძე ოსმალს ჯარში აქა-იქ მსახურობდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ეს თავის სამშობლოში დაბრუნდა და აქ დაიწყო მოქმედება. მამის მსგავსად ეს პირი გრიგოლ გურიელსაც ენათესავებოდა და ეკედლებოდა, ხშირათ ერთმანეთში მისვლა-მოსვლაც ჰქონდათ, წვეულებაც ხშირათ იცოდნენ და წერილების მიწერ-მოწერაც. ალი თავდგირიძეც თავის მამისა და პაპის გზას დაადგა, მათი ზნე-ხასიათის მექონი აღმოჩნდა, თუმცა ნათესავი ქართველთა და ისეთი სუფთა პირის, როგორც იყო ნეტარხსენებული გრიგოლ გურიელი. მაგრამ ამასთანავე ურცხვი, ჰარამი, ბოროტებით სავსე და შხამიანი გესლის დამნთხვევი, დიდათ მოძულე ქართველთა, დიდათ მოძულე ქრისტიანობისა, თითქმის სისხლის მსმელი და მასთანავე უზნეო და ზნეობით წამხდარი. ამან თავის სადგომი სახლი ყაჩაღების ბუდეთ გადააქცია, ამის სახლში მუდამლამ 30-40 ყაჩაღი ათევდა. ყველა ეს ყაჩაღები კი გურიანზე ნავარდობდნენ. გურულებს იტაცებდნენ, ხალხს ძარცვავდნენ, ცხენებს და საქონელს იტაცებდნენ. ყველა ამას მიერეკებოდნენ ალი თავდგირიძის სახლში, იქ ჰფარავდნენ, მერე ოსმალეთში მიჰყავდათ და ჰყიდდნენ სანახევროთ, ნახევარს ყაჩაღ ქურდები იღებდნენ და ნახევარს ალის აძლევდნენ. ასეთი ოსტატობით, ქურდების და ყაჩაღების შენახვით ალიმ ოსმალს მთავრობის წინაშე სახელი მოიგო და უკანასკნელ იგი გახდა ფაშად და იწოდა ალი ფაშა თავდგირიძეთ. ჩვენ ამ პირის ცხოვრების აღწერას დაწვრილებით არ შევუდგებით, რადგანაც ეს ბოროტი და ყოვლათ გაუნათლებელი მტერი ამის ღირსი არ არის, ჩვენ აქ აღვწუხავთ მარტო იმ საქმეებს და ვნებას, რაც იმან ჩვენს სამშობლოს და ხალხს დაატეხა უკანასკნელ ომის დროს.

ალი ფაშა თავდგირიძე წინათ მსახურობდა ოსმალეთში, ორდში, მერე კოჭურს, სევაზის ვილაიეთში, სამსონს იქით, სევაზის ვილაიეთის ხალხი ამან თავის უზომო ქრთამებით შეაწუხა. ამიტომ ხალხმა სულთანთან უჩივლა. სულთანის ბრძანებით გამოცვალეს. ამის შემდეგ იგი საქართველოში მოშავდა და სცხოვრობდა ხან ქობულეთში და ხან ბათუმში. იყო დიდი მექრთამე და უსამართლო. ამის ხელით სამართალი ფულით იყიდებოდა. ანდაზაც ყოფილა აჭარაში დაშთენილი, რომ „ალი ფაშას სამართალი ფულით იყიდებოდაო“. ოსმალის მთავრობისაგან ამან ბათომში სამხედრო ჯარის უფროსობა მიიღო. ამის ადიუტანტი გულო ალა კაიკაცაშვილი იყო, რომელ პატივცემულს ქართველ მაჰმადიანს ბევრი რამ ახსოვს თავის გენერლის შესახებ. ეს კაიკაციშვილი სოფ. სამებაში სცხოვრობს, სჯულით მუსლიმანია, მაგრამ ტომობით და ენით ქართველი, ორის ხელით ცისაკენ აპყრობილნი ესა და დედი ალა ღმერთს ევედრებიან მხურვალეთ, რომ მათი მოძმეები ძველებურათ შეუკავშირდნენ ქართველებს და ძველს დონეზე დადგნენ. შეერთების უმალვე ესენი ჩვენსკენ გადმოვიდნენ, შვილები სასწავლებელში შეიყვანეს. კაიკაციშვილი დღეს ადესის უნივერსიტეტში სწავლობს და დედი ალი ნიჟარაძე სტავროპოლის გიმნაზიაში.

აქ უნდა დავუმატოთ, რომ ალი თავდგირიძისაგან ფაშობის შოვნის საქმეში ცოტა მონაწილეობის მიღება მის დედასაც ეკუთვნის. მისი დედა იყო ლაზელი ქალი, ჰაჯი შაინ ოღლისა, დინდინ ხანუმი, მოძულე ქართველთა, თითქმის სისხლის მსმელი ქართველთა. ამ ქალის მამის სასახლევ ქართველთა ტყვეების ბუდეთ იყო გადაქცეული, ამ ქალს ქართველები ისე სძულდა, რომ 1855 წ. რადგანაც ალი ფაშას მამა მოკლეს, მამინ დინდინ ხანუმმა ლეკური მოიკრა და ომში წავიდა. მე ისე ვერ დავბრუნდებო, რომ ქართველის სისხლი არ დავაქციოო. ომის დროს ამ ქალმა სახელი განითქვა, ომის გათავების შემდეგ ოსმალში წავიდა, სულთანი ნახა და ამას გამოსთხოვა ალი თავდგირიძის გაფაშება, ანუ ფაშობა.

უკანასკნელ ომის წინეთ, 1877 წ. ამასთან დიდი მოლაპარაკება ჰქონდა გამართული გრიგოლ გურიელს. გრიგოლ გურიელს ალი ფაშას გარდა სხვა ქართველ ბეგებთანაც ჰქონდა ლაპარაკი გამართული. ყველას იმას სთხოვდა, რომ იგინი რუსებს დამორჩილებოდნენ და ბრძოლა არ აეტყხათ. მაგალითებრ ალი ფაშას ასე მიმართა გრიგოლ გურიელმა:

- ალი ფაშა, როგორც ნათესავ კაცს დაგარნმუნებ, რომ რუსეთს რაც უნდა დავმართოს და რაც უნდა ბევრი ხალხი დაეღუპოს, მაინც ცინის ძირის, ბათუმის და აჭარის ალება გადანყევტილი აქეთ. ამი-

ტომ გირჩევ შენ, როგორც ჩემს ნათესავს, რომ უბრალოთ ბრძოლას თავი გაანებო და გარემოებას დაემორჩილო, სიტყვებითი და მშვიდობით რუსეთს ჩაბარდეთ, უბრალო ბრძოლით არაფერი გამოვა, ხალხი დაიხოცება, დიდი უბედურება მოხდება. რუსნი შენ მიგიღებენ შესაფერისი პატივით, ულუფას მოგცემენ და ღირსებასაც აგიმალლებენ.

ალი ფაშამ არ ქნა ეს, რადგანაც იმან კარგათ იცოდა, რომ თავის ყაჩაღობას აქ ვერ გაიყვანდა, იმას აქ არავინ რას მოუთმენდა და ამიტომ უარი განაცხადა. მალე ომიც დაიწყო. ალი ფაშას დიდი ძალი ჯარი ებარა. მაგრამ ომში საქმე ვერ წაუვიდა კარგათ, ამას ეგონა, რომ ქართველნი უძლურნი არიანო. მე საქართველოს გზა და კვალი ვიცი, გურიას ავიღებთ, მას შემდეგ ქუთაისს, ქუთაისიდან თბილისში ჩავალთ და მერე მე ფაშობას ვიშოვნო. ის კი არა და ამას წინააღმდეგ დაუტრიალდა საქმე. მან ჩვენ ჯარს დიდი ძალა შენიშნა და ცოტა არ იყოს ამაზე შეკრთა, აქა იქიდან ჩუჩუნა დაიწყო და რუსეთისკენ აპირებდა გადმოსვლას. მაგრამ ვერც ამას ახერხებდა, იმ დროს მისთვის ეს ადვილი აღარ იყო. ამის საიდუმლო განზრახვა ოსმალთაც კი შეიტყვეს. მალე სამხედრო მინისტრი გამოგზავნეს. მინისტრი ჰყვედრიდა ალი ფაშას, რომ თქვენ ქართველები ხართ, ქართველებისაკენ გიჭირავთ თვალიო. ჩვენ თქვენ აღარ გენდობთ. ალი ფაშა კი ფიცით ერთგულებას ეფიცებოდა, მაგრამ მინისტრს არ სჯეროდა. ხალხში გაავრცელეს ხმები, რომ ალი ფაშამ ხონთქრის ღალატი განიზრახაო. მაშინ ამის შესახებ ქობულეთელმა ქართველმა მაჰმადიანებმა გამოთქვეს შემდეგი ლექსი:

**„ხვანთქარი და რუსი ჩხუბობს,
იგივ არის ორივ ეშვი
ალი ფაშამ გვიღალატა
აგვიყვანა კვირიკეთში.
თვითონ ფულები აიღო
ჩვენ ჩაგყვარა რუსის ხელში,
მასაც კაი არ დამართეს,
ბანრით ჩაითრიეს გემში,
მისი ყვირილი გვესმოდა,
სუფსის გაღმა, ბაილეთში“.**

ეს ლექსი ხალხმა აი, რათ შეადგინა ალი ფაშაზე: ალი ფაშამ რა ნახა მტრის ძალა და ოსმალთა დამარცხება, ამან თავისი მელიაობით დასწერა წერილი და მაშინდელს რუსის მთავარმმართველს

ბლის თანაშემწეს გამოუგზავნა და თან სთხოვდა, რომ მე პირობა შევასრულე, თქვენს ჯარს გზა და ძალა მივეცი და თქვენ დანაპირებს რატომ არ მადღევთო. მე შევიტყვე, რომ ჩემი ასი ათასი მანეთი, რომელიც მე უნდა თქვენის მთავრობისაგან მიმეღო, იგი მიუღიათ გრიგოლ და იესე გურიელებსა და დაუსაკუთრებიათო. ვითხოვ მის დაბრუნებასაო. ალი ფაშას წერილი სარდლის თანაშემწეს ბრძოლის ველზედ მოუვიდა. მან გახსნა წერილი და ნახა ქართულათ დანერილი იყო. აქვე იმყოფებოდა გრიგოლ გურიელი, წერილი გრიგოლ გურიელს წააკითხეს და საქმე სცნეს. მთავარ სარდალი და სხვები გაჰკვირდნენ დიდათ, რომ ალი ფაშას ასეთი ჭორები სცოდნიაო. ჩვენ იმას როდის დავპირდით ფული, და ან იმან ჩვენ რა სარგებლობა მოგვიტანა ომის დროსაო, სულ არაფერიო; გრიგოლ გურიელს ეს ამბავი დიდათ ეწყინა, მაგრამ ყურადღება მაინც არ მიაქცია, რადგანაც მან კარგათ იცოდა ალი ფაშას მელიაობა და საქმეები. ეს წერილი მე თვით ვნახე გრიგოლ გურიელის სახლში 1890 წ. განსვენებულმა წერილი მიჩვენა და თან ბევრი ამბებიც მიაბო ალი ფაშას შესახებ და მას დიდათ ჰკიცხავდა. წერილიდან აღმოჩნდა, რომ ალი ფაშას ქართული წერა-კითხვა მეტათ უხეიროთ სცოდნია. ზოგიერთებმა მარწმუნეს, რომ არც თათრული იცოდა კარგათაო.

დერვიმ ფაშას და ალი ფაშას უკმაყოფილება ისე გამწვავდა, რომ ალი ფაშამ დერვიმ ფაშა დროებით თავიდან მოიშორა, სტამბოლში გაისტუმრა და მხოლოდ ომის შემდეგ მიეცა ალი ფაშას ქობულეთში დაბრუნების ნებართვა. ეს მალეც მოვიდა ბათომში. თავის თანამემამულეთა წინაშე თავი იმართლა, რომ მე ოსმალს ღალატი უბრალოთ დამნამესო. მასზე გამოთქმული ლექსიც არ ყოფილა ჭეშმარიტი ცნობებით და განკითხვით საესე. ალი ფაშა დიდათ ემდურებოდა დერვიმ ფაშას და ეს ეძიებდა ღონისძიებას, რომ ოსმალს სულთანისთვის დაემტკიცებინა თავისი ერის ერთგულება და დერვიმ ფაშას შეცდომები და საქმის უცოდინარობა. ალი ფაშას ბედმა გაუღიმა. ამან ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ ომის გათავების შემდეგ ქართველ მაჰმადიანთა შვილობა იყო და მრავალნი იმათთაგანი ოსმალში აპირებდნენ გადასახლებას. ყველა ეს აშლილი ხალხი აღელვებული იყვნენ ფანატიკოსი მელა ხოჯებისაგან, ამ ფანატიკოს და აშლილ ხალხში დატრიალდა ალი ფაშა თავდგირიძე, დაიწყო საუბარი ოსმალეთში გადასახლების შესახებ. რასაკვირველია ფანატიზმით დარაზმული ხალხს ეუბნებოდა:

- ხალხო, აქ არ დარჩეთ, თორემ იცოდეთ, რომ მუსლიმანობა აქ ცუდ დღეში ჩავარდება. ყველას გაგაქართველებენ, ბევრი კაცები და დედაკაცები უნდა წაწყმდნენ, გაქართველდნენ, ჯენენეთს თვალით

ვერ ნახავთ. მე გაფრთხილებთ, როგორც მუსლიმანი, რომ თავს უშველოთ, აქ საქართველოში ცხოვრებას ოსმალში დალუპვა უნდა არჩიოთ, იმიტომ რომ მუსლიმანის ბინა იქ არის, მისი ფადი შახი იქ ზის იქ ნათობს ცხოვნების მზე.

ამის საუბარს ხალხი სულგანაბული ისმენდა, რადგანაც ალი ფაშა თავდგირიძე ქართველ მაჰმადიანებში დიდ გავლენიან პირათ ირიცხებოდა. ალი ფაშა ცხადათ დარწმუნდა ქართველი მაჰმადიანების მღელვარებაზე, ქართველთა სიძულვილსა და მტრობაზე. იგი აშკარათ დარწმუნდა, რომ ეს ხალხი აქ არ დარჩებოდა. საითაც იგი წავიდოდა, ხალხიც იქით წაჰყვებოდა მას, ამიტომ ალი ფაშა თავდგირიძე საჩქაროთ გაიქცა სტამბოლში, წარსდგა სულთანის წინაშე და მოახსენა, რომ მე მთელი ჩემი მხრის ხალხი ოსმალეთში მომყავს და ნება მიბოძებთო. სულთანმა დიდის სიამოვნებით მისცა ნება და დიდ ულუფას დაჰპირდა. ახლა კი გამართლდა ალი ფაშა, გაქარწყლდა მინისტრის აზრები, ალი ფაშა ერთგულ კაცათ გამოვიდა.

მინისტრი მაინც არ იყო გასამტყუნარი. ამან როცა საქართველოს ადგილები ნახა და ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ბეგ-ფაშები, ის უეჭვოთ ფიქრობდა მასზე, რომ ამ მშვენიერი ქვეყნის გურჯები ნუთუ თავიანთ გურჯებს უმტყუნებენ და ჩვენ მოგვემხრობიანო. არა მგონიაო. ამით იგი რასაკვირველია მართალი იყო, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ იქმნა. დიდი ხანია მას შემდეგ გასული, რაც ოსმალთა მეოხებით ქართველი მაჰმადიანები ქართველთა მტრებათ შეიქმნენ, მტერობით ამათ ოსმალელებსაც კი გადააჭარბეს და ამიტომ ალი ფაშას მტრობის შესახებ ფიქრები უბრალო უნდა ყოფილიყო, რადგანაც ალი ფაშას გულ-მუცელი გველ-ბაყაყის ბუდეთ იყო გადაქცეული. მას ყაჩაღ ოსმალების და ქურდების სიყვარულის მეტი სხვა არაფერი ფიქრი ჰქონდა და ახსოვდა.

ალი ფაშა მალე მოშავდა საქართველოში და ქართველ მაჰმადიანებს მოუტანა ხონთქრის ცარიელი წყალობის ამბავი. ფანატიკოსებს გაეხარდათ. ამათ იწყეს გადასახლება. ამ გადასახლების დროს სახლის საქონელი და ნივთები ჩალის ფასად იყიდებოდა. მთელი ქობულეთი აჰყარა და ქობულეთს გარდა კახაბერსა და მარადიდსაც მისწვდა. აქაც მოართვევინა მოლა ხოჯებს ქადაგება გადასახლების შესახებ, თორემ გაქართველდებითო; ქობულეთელების გადასახლების დროს დიდი უბედურება, დიდი გმობა და ტირილი ისმოდა მცხოვრებთაგან, ბევრს არ უნდოდა თავის სახლ-კარის და სამშობლოს დატოვება, მწარეთ სტიროდა ამის გამო, მაგრამ თან გაქრისტიანების ემინოდა. იმ დროს რომ ესენი ენახა ჩვენთაგანს იგი მათი ცოდვით დაინვოდა, ვინც კი შეგნებულ ქართველთაგანმა ნახა, იმას სწორეთ

ასეც მოუვიდა და შესწუხდა. ნეტარხსენებული გრიგოლ გურიელი ცრემლით სტიროდა თითქმის, აღარ იცოდა რა ექნა. ეს მალე მივიდა ქობულეთში ალი ფაშასთან და უთხრა:

- ალი ფაშა! შენ ჩემი ნათესავი ხარ, მე შენ პატივს გცემ, დიდათ ვაფასებ შენს შრომას ოსმალთა სასარგებლოთ, ხოლო გთხოვ, რომ დანყნარდე და დაშთე აქა, რუსნი შენ დიდს პატივს მოგცემენ. მე გაძლევ ამის შესახებ სიტყვას და პირობას.

- არ შემიძლიან, თავი უნდა გავიმართლო, თორემ ლაღატი შემწამეს, მე თქვენგან ვერა ავიღე რა, ჩემი დარჩენა აქ არ შეიძლება. მიუგო ალი ფაშამ.

- შენ თუ არ იშლი წასვლას, შენ წადი. ამ ხალხს კი თავი დაანებე, რა გინდა, რას ემართლები, კაცო, შენ რა მოგემატება ამათი აქედამ აყრით. გთხოვ ალი ფაშა, რომ მცირეთ ჩემს ნათესაობას დასდო პატივი და ხალხს თავი გაანებო. იყვენენ აქ. ნუ აქეზებ იმათ გადასახლებისთვის.

- სულ ერთია. აქ რომ დარჩნენ. ესენი გაქართველდებიან, დაილუპებიან. მუსლიმანის აქ დარჩენა როგორ იქმნება, თქვენს გვერდით ქართველებთან, ეს არ შეიძლება. მე ამის მკაცრი წინააღმდეგი ვარ და ერთ კაცსაც არ დავსტოვებ აქ, რომ იგი ქართველებს შეემატოს.

- გეფიცები პატიოსნებას, ღმერთს და ჩვენს ნათესაობას, რომ აქ ამათ არაფერს უზამენ, თქვენ წადით და ამათ თავი გაანებეთ, ნუ დალუპავთ ხალხს.

- მე უნდა ვეცადო, რომ რაც კი შეიძლება ბევრი ხალხი გადავასახლო აქედამ, რომ მის საშუალებით სულთნის წინაშე ჩემი ერთგულება დავამტკიცო და დერვიშ ფაშას სიცრუე.

- ალი ფაშა! მაგით შენ შენს თავს არას უშველი, რაც ხარ ისევ ის იქმნები, ფაშობას არავინ წაგართმევს, სულთნისაგან რაც ულუფა გეძლევა, იმაზე მეტს არ მოგცემენ და ხალხს უბრალოთ დალუპავ. ცოდონი არიან, ნუ იზამ მას.

- არ შეიძლება, გადასახლების საქმე გადაწყდა. იქ ამათთვის ადგილებს შაქირ ფაშა ხიმშიაშვილი სძებნის და ამზადებს.

- არ შვრებით კაის ჩემო ალი ფაშა, შენ ქართველი კაცის შთამომავალი ხარ და მცირეც არის სიბრალული უნდა გქონდეს შენის ქვეყნის ხალხის, მათს დალუპვას შენ სასტიკათ უნდა ერიდებოდე — მიუგო გრიგოლ გურიელმა.

- აკი ვერიდები და ამათაც ვარიდებ ჩემო გრიგოლ. მაგრამ რას გთხოვ, შენ ერთი ოცდა ათი ოქრო მასესხე, ამჟამად მჭირია ეგ და ამ საქმეზე, საქართველოზე და ქართველებზე მერე ვილაპარაკოთო. რა დროს მაგენია, ყველა კაცი თავის დიდებისთვის უნდა ზრუნავდეს.

გრიგოლ გურიელმა მაშინათვე მისცა ფული, 30 ოქროს მაგიერ 100 ოქრო, ამას იმედი ჰქონდა, რომ იქმნება ამითი მაინც მოუღბო გულიო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რომ მას ვერცა რა ამით ეშველა. არ დანყნარდა იგი. მალე მიაღწია მიზანს და იწყეს ქართველმა მაჰმადიანებმა ოსმალს გემებით გარდასახლება. ამათ თან მისდევდა და მოსდევდა ალი ფაშა და ოსმალეთში ამაგრებდა და აქა-იქ ასახლებდა, შაქირ ფაშა ხიმშიაშვილი. ალი ფაშასავით ანგარებით იყო სავსე. ბოროტი, მტერი ქართველთა და დიდათ მოძულე. ამ ბოროტმაც დიდი ძალი ხალხი დაღუპა და მოატყუილა. გადასახლებულთა რიცხვით ისარგებლეს რამდენიმე მონინავე კაცმა და ოსმალს მთავრობისგან ამათ მიიღეს საჩუქრები და პატივისცემა. გადასახლებულებს აქა-იქ ისეთ უხეირო ჭაობიანს ადგილებში ასახლებდნენ, სადაც მათ ცხოვრება დიდათ უჭირდათ, უკანასკნელ კინალამ შიმშილისაგან განყდნენ.

უნდა ითქვას, რომ ალი ფაშაზე ნაკლები მტერი არ იყო შაქირ ფაშა ხიმშიაშვილი. ეს ბოროტი ფაშა უკანასკნელ ომის შემდეგ ოსმალეთში გადაშავდა, იქ დაიწყო გველაძუობა. სულთანს ბევრი რალაც ხმები მოახსენა ქართველი მაჰმადიანების შესახებ. ამას მისცეს ნება, რომ ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანებისთვის ადგილები მოეძებნა და მერე ამ ადგილებს სულთანი მისცემდა ქართველ მაჰმადიანებს. შაქირ ფაშა ხიმშიაშვილი, ეს მტერი და ქართველთა სისხლით გაუმაძღარი დაშავებოდა ოსმალში, აქა იქ ადგილებს ეძებდა და ამით აიმედებდა ქართველებს რომ კაი ალაგები ჩნდებოა.

ამასა და ალი ფაშას უნდა ჰკითხოს ღმერთმა და ნაშუსმა, რადგანაც ამათის გველაძუობით და მოტყუილებით გადასახლებულთ ქართველთ მაჰმადიანებს ისე გაუჭირდათ, რომ ამათ იწყეს ოსმალეთში თავიანთი შვილების გაყიდვა, ამაში აღებულ ფულს საქართველოში გზავნიდნენ, სიმინდს ყიდულობდნენ და გემებით მიჰქონდათ საქმელათ. ამ საბრალოებმა დიდი უბედურება და მწუხარება გამოცადეს ოსმალეთში, დიდი შიმშილი, გაჭირვება, სიშიშვლე, შვილების გაყიდვა და სხვანი, რამდენი ზღვაში ჩაიხრჩო, რამდენი შიმშილმა განყვიტა, ჭირმა და უბედურებამ, ყველა ამას კაცი ვერ მოსთვლის. ყველა ამ უბედურებათა მომხდენათ ალი ფაშა თავდგირიძე ითვლება, ყველა ეს ბოროტება ამან მხოლოთ თავის თავის ასამალლებლათ მოახერხა და დაღუპა იმოედნა ხალხი.

ოსმალში გადასახლებულ ალი ფაშას დაენიშნა პენსია და საცხოვრებლად მიეცა ადგილები სამსონის ქალაქისაკენ, აქვე მის მახლობლად იქმნენ დასახლებულნი ყველა ის ქობულეთლები, რომლებიც კი ამან გადაასახლა, ესენი მის მფარველობის ქვეშ ირიცხებოდნენ. ალი ფაშამ იქაც არ დაივიწყა თავისი მამაპაპის გზა-კვალი, იქაც გაიჩინა ყაჩაღები,

მძარცველები, კაცის მკვლელები და სხვანი, ესენი მგზავრებს და ადგილობრივ ქრისტიანებს ეცემოდნენ ხშირათ, სძარცვავდნენ, აოხრებდნენ და ხოცავდნენ ქობულეთურათ. ამათ შეაწუხეს მთელი მხარე, ამაზე მცხოვრებნი დიდათ აღელდნენ და ბოლოს ალი ფაშას უჩივლეს სულთანთან და ყველა მისი საიდუმლოებაც გამოაშკარავეს. ალი ფაშას მაშინათვე ბრძანება მოუვიდა სტამბოლში გადასახლების და სამუდამოთ იქ ცხოვრების, ეს გადასახლდა და მის შემდეგ სტამბოლში სცხოვრობს, მის ხელქვეშ ყოფილი ქობულეთელი ყაჩაღებიც აყარეს და ზოგი მისირში გარეკეს, ზოგი დაირბეჭირს და ზოგიც სტამბოლს იქით. უმეტესი ნაწილი ქობულეთელებისა მგზავრობაში განყდნენ, ამათ თავიანთ ადგილებამდის ვერ მიაღწიეს. ეს ნაყოფი გამოიღო ალი ფაშას ბოროტებამ და საქირ ფაშა ხიმშიაშვილის გველაძუობამ. ამათზე არა ნაკლები ვნება მოუტანა აჭარლებს ოსმან ფაშა თავდგირიძემ, რომელიც აღწერილ დროს ქედაში სცხოვრობდა. აჭარის ხალხი სულ ამ მზებნელმა ააღელვა და გადაასახლა ოსმალეთში. შემდეგ ეს იმყოფებოდა ტრაპიზონის გუბერნატორათ და თავის საძაგლობას არც იქ სტოვებდა, იქიდანაც იხმობდა ოსმალეთში გადასახლებისათვის ქართველ მაჰმადიანებს.

ამ ბოროტ პირების მეოხებით დაიცალა ქობულეთი, მთლათ მაჭახელი, მაჭახლიდამ 2000 კომლზე მეტი წავიდა, მთლათ ლივანი და აჭარასაც მისწვდნენ. მაგრამ აქ მათს გველაძუობას წინ დახვდა წინაღმდეგი ძალა. ეს ძალა იყო ქედის მუფთის ქადაგება და ზოგიერთ ქართველთ რიგიან მაჰმადიანთა მოღვაწეობა. მურთულსაც ამათ გაჰკრეს კლანჭები. ამ პირებისაგან აი, სად და რა ადგილებში რამდენ-რამდენი მოსახლენი სცხოვრობენ ქართველ მაჰმადიანების:

ხოფას	100 კომლი	არხავეს	120 კომლი
ირიზას	100 კომლი	სურმენს	100 კომლი
ოფს	120 კომლი	ტრაპიზონს	100 კომლი
ფლატანას	120 კომლი	ბეგლევანს	150 კომლი
თრიპოლს	100 კომლი	გერესონს	120 კომლი
ორდს	1000 კომლი	აბდალას	130 კომლი
უნიას	1000 კომლი	ბაცას	1000 კომლი
ჩერშევრეს	100 კომლი	თერმეს	100 კომლი
ბაფარას	100 კომლი	სამსონს	150 კომლი
ბოლომანს	100 კომლი	სინაპს	120 კომლი
ახლაც დასახლებულნი,		უკანასკნელი სამუდგროა.	

რამდენიმე კიდევ სხვაგან სახლობენ, სხვების ცნობები ჩვენ ჯერ არა გვაქვს შეკრებილი, რამდენი მათგანი მგზავრობის დროს დაიღ-

უპნენ და დაიკარგნენ უღვთოთ, ამას რიცხვი არა აქვს... ყველა ეს უბედურება და გადასახლება ხსენებული ფაშების მეოხებით და ლალატით მოხდა. რომ ყოველივე ჩვენ მიერ ამ პირების შესახებ მართალია, ამას ბევრნაირი საბუთებით დავამტკიცებთ. მაგრამ რა საჭიროა ეს, ამაში განა ეჭვი ვისმეს ექმნება. მე ვემორჩილები ნეტარხსენებულ გრიგოლ გურიელის სიტყვას, რომელიც ქართველ ფაშებს ძლიერ კარგათ იცნობდა და მათთან დაახლოებული მეგობრობაც ჰქონდა. გრიგოლ გურიელს გარდა მე სხვებმაც ასევე მარწმუნეს ამ ფაშების შესახებ. ამათგან შესყიდვა და გასყიდვა ადვილათ იქმნებოდა ხოლმეო.

ალი ფაშა ყველა თავის ბოროტებასთან ნამდვილი თათრის ბილნების მექონიც იყო, ცუდი საქმეების მიმყოლი და სხვა და სხვა ცოლების პატრონი. ამის პირველი ცოლი იყო ქობულეთელი ბეჟან-იძის ქალი, მეორე ცოლათ მენაბდის ქალი შეირთო. მერე მესამე ცოლათ შეირთო ქარცივადის ქალი, სოფ. ქაქუთელის. ამ ქალის დედა დღესაც ცოცხალია, სოფელ ქაქუთში და ქრისტიანია. ამ დედაკაცის ქმარი 1870 წლებში გაუთათრებიათ, ეს კი არ გათათრებულა. ამის ყველა შვილებიც თათრები არიან და სცხოვრობენ გურიაში.

ალი ფაშას ბოროტებას უკანასკნელ მრავალ ქართველი მაჰმადიანები მიხვდნენ და შეიტყვეს ყველაფერი. მაგრამ რალა დროს, ერთობ გვიან, როცა ოსმალეთში ყოფილნი ქართველნი მთლად დაილუპნენ და გასწყდნენ. ალი ფაშა დღესაც არ ისვენებს, ამასთან ხშირათ მიდიან ქობულეთ-აჭარა-ლივანის ქართველი მაჰმადიანები, მას ქრთამს აძლევენ და რამე საქმეებში დახმარებას სთხოვენ. იგიც რასაკვირველია ქრთამებს იღებს და საბრალო ქართველ მაჰმადიანებს ურცხვათ ატყუილებს. ჰპირდება, რომ საქმეს გაგიკეთებთო, მაგრამ იგი ამათ ხშირად არაფერს უკეთებს, რადგანაც მას აქა-იქ კარგად იცნობენ, იციან მისი ბოროტი ყაჩაღური ხასიათი. მთელ თავის სიცოცხლეს ასე მოტყუილებით ატარებს და ქართველი მაჰმადიანების ყვლეფით. ალი ფაშასაგან ერთი გადასახლებულთაგანი დაბრუნდა საქართველოში, მე ვნახე იგი, დავეკითხე:

- აქედამ როცა მიდიოდით ოსმალეთში, რატომ არ ფიქრობდით რომ გაჭირვებაში ჩავარდებოდით.

- ღმერთმა ჰკითხოს ალი ფაშა თავდგირიძეს, შაქირ ფაშა ხიმშიაშვილს, ოსმან ფაშას და ყემპერ ალა ტაკიძეს და ხოჯებს, ჩვენი ცოდვით არ ნახონ მათ კეთილი, სულ მათ მოგვატყუილეს, მათ დაგვლუპეს, მათის მეოხებით ძლიერ ბევრი ხალხი განყდა იქ. ნამეტურ ალი ფაშამ მოგვატყუილა, გვპირდებოდა, რომ იქ სულთნისაგან დიდს წყალობას მიიღებთო. ჩვენც გავბრწყინდით, ავი-

ყარენით, სახლ-კარი დავლუპეთდა გადავსახლდით ოსმალში. მაგრამ იქ ჩვენ არაფერი მოგვცეს, მოგვცეს მეტად ცუდი ადგილები, იმით ჩვენ ვერ ვიცხოვრეთ და ოთხი წლის განმავლობაში 10 ათასზე მეტი მარტო ქობულეთელები განწყდნენ. აქეთაც აღარ გვიშვებდნენ. ეს გვიყო ალი ფაშა თავდგირიძემ.

- ახლა რას აპირებთ, ნახვალთ კიდევ? ვკითხე მე.

- რას ბრძანებთ, ღმერთმა ნუ ქნას, აქ დავიხოცებით ბატონო და იქ კი არ წავალთ.

- აქედამ ჩვენ მიტომ გავიქეცი, რომ გაქართველებითო, გაქრისტიანდებითო, ასე გვეუბნებოდა ალი ფაშა, სიტყვა ქართველის ჩვენ დიდათ გვემინიან, რადგანაც ქართველი ჩვენ უსჯულოთ მიგვაჩნია, ამას მოვშორდით. ვისმინეთ ჩვენც მისი სიტყვა, გავიქეცი ოსმალეთში და იქ რა ვნახეთ, ყველამ ქართველი გვინოდა. აქ ამას გავექეცი და იქ თვით ოსმალეზმაც კი ასე ქართველებათ გვიცნეს. ვკითხეთ რამე, გვითხრეს რამე ყოველთვის ქართველი გვინოდეს და აბა აქედამ იქ რას მივრბოდით და ვლუპავდით ცოლ-შვილსაო.

მაგრამ ღმერთმა ჰკითხოს ავს მოლა ხოჯებს და ჩვენს წამქეზებელთ და დამლუპავს ფაშებს.

ზ. ჭ.

1895 წ.

სოფ. წყალსიმერი (შავშეთს)

საჩუქრე

წინასიტყვა (5).

ირაკლი კობლატაძე. „წინის რაინდის“ საუნჯიდან (8).

ზაქარია ჭიჭინაძე. თავდგირიძიანთ გვარის ღალატი და

ალი ფაშა თავდგირიძე (25).

ამ სერიით გამოიცა:
ვარლამ სიმონიშვილი
გურიის სიმღერების წარმოშობა.
თბ. 2005.


ხალხის გულშემატკივარი კაცი.
ვრიგოლ გურიელი
თბ. 2006.

ავქსენტი მეგრელიძე
გურული ნადური.
თბ. 2006.

გიგო შარაშიძე
გურიის წარსულიდან.
თბ. 2006.

დimitრი ბაქრაძე
გურიასა და აჭარაში მოგზაურობის ანგარიშები.
თბ. 2007.

გამოსაცემად მზადდება:
გიგო შარაშიძე
გურული ლექსიკონი.



ზავენია აგაბეკიანი (1854-1931)

ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის მკვლევარი. დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ხელნაწერების შეგროვებასა და წიგნების გამოცემაში. განსაკუთრებული ამაგი დასდო მაჰმადიან ქართველებთან ურთიერთობას. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ISBN 978-99940-69-80-4



9 789994 069804 >